პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია:** თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

**მთავარი კანტორა:** ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100 000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ ნომპარილის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 5000 მან.

ქართ. ბონებით ყველგან.

№ 221 ოთხშაბათი, 27 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 27 სექტემბერი 1922 წ. № 221

# საქართველოს კომპარტიის წევრთა გენერალური ხელახალი რეგისტრაცია

### ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს, საქართველოს კომუნისტურ პარტიის წევრებს და კანდიდატებს

ძვირფასო ამხანაგებო!

თანახმად რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებისა, რომელიც დამყარებულია რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის სადისკუსიო წერილზე № 9, საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგები ახლო მომავალში ხელახლა უნდა იქნეს შემოწმებული და გაწმენდილი. ამ გაწმენდამ უნდა შეავსოს პარტიის წარსული გაწმენდა, რომელმაც ვერ შესძლო საკმაოდ გაეწმინდა საქართველოს კომპარტიის რიგები და გაედევნა იქიდან არაკომუნისტური ელემენტები.

1921 წელი იყო ჩვენთვის საბჭოთა ხელისუფლების და ადგილობრივ პარტიულ აპარატების ორგანიზაციულად განმტკიცების წელი, საითკენაც იყო მიმართული ჩვენი პარტიული ორგანოების მთელი ყურადღება. პარტიას არ შეეძლო საკმაო ყურადღება მიექცია ორგანიზაციაში ახლად შემოსულ წევრთათვის, ზოგჯერ პარტიაში შედიოდა არაკომუნისტური ელემენტი გლეხებიდან, წვრილ ბურჟუაზიიდან და მეშჩანურ წრეებიდან.

ამის გამო, პარტიულ ორგანიზმის გაჯანსაღებისათვის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა დაადგინა დანიშნულ იქნეს საქართველოს კომპარტიის რიგების განმეორებითი, გენერალური გაწმენდა, რომლის დროსაც უნდა იხელმძღვანელონ შემდეგ დებულებებით:

1) ჩვენი პარტიის რიგების გაწმენდას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიაღწიოს მიზანს, თუ იგი გატარდება არა როგორც პარტიის წევრთა მშრალი ფორმალური აღწერა, არამედ მაშინ, როდესაც ყოველი ამხანაგი, რომელიც შემოწმებული იქნება, შემმოწმებელ და გამწმენდელ კომისიის წევრთა მიერ ყოველ მხრივ იქნება შესწავლული, იმ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, რომელსაც პარტია უყენებს თავის წევრებს.

2). პარტიამ უნდა აღრიცხოს პარტიის ის წევრები, რომელნიც არიან მისი ერთგულნი, რომელნიც პარტიას სწირავენ თავის კეთილ-დღეობას და სიცოცხლეს, უსიტყვოთ ასრულებენ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების დირექტივებს და დავალებებს და ემსახურებიან, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მუშაობის დროსაც მხოლოდ პარტიულ ინტერესებს. მთელი ზედმეტი ბალასტი, რომელიც ზედმეტ ბარგად აწევს და ანგვიანებს პარტიას, ისე როგორც არასასურველი ელემენტები, რომელნიც მეპყრობილნი არიან წვრილ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის, კოლონიზატორების სტიქიით და ტყუილ-უბრალოდ მიეტმასნენ ჩვენა პარტიას—არ უნდა იქნან აღრიცხულნი: იმათ არ შეუძლიათ ჩვენ რიგებში დარჩენა, ისინი მექანიკურად უნდა გაიდევნონ პარტიიდან.

3) შემოწმება და გაწმენდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს პირადულ ანგარიშების, შურისძიების და სხვ. საშუალებათ.

4) შემოწმება და გაწმენდა ტარდება ყველა პარტიულ ორგანიზაციებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწათმოქმედების რაიონებს, სადაც იაჩეიკებში ადვილად შეეძლოთ მიხვედრა ისეთ ელემენტებს, რომელთაც მათი ეკონომიური მდგომარეობა სავსებით აშორებს კომუნისტურ პარტიის იდეებს.

საქართველოს კომპარტიის შემოწმების და გაწმენდის ჩასატარებლად. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი გამოჰყოფს სპეციალურ კომისიას ამხ. ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით და ორ წევრთა—ამხ. ვ. სტურუას და ს. თოდრიას შემადგენლობით.

ცენტრალური კომისია ნიშნავს სამაზრო კომისიებს, რომელშიაც უნდა შევიდნენ პარტიული მუშები, ან პარტიული პროფესიონალები არა ნაკლებ 5 წლის სტაჟით, რომელნიც არასოდეს არ ყოფილან სხვა პარტიის რიგებში.

კომისიის დასახმარებლად ადგილებზე მათი ჩვენებით პარტიულ კომიტეტებში და იაჩეიკებში გამოყოფენ პარტიის გამწმენდ რწმუნებულებს, რომელნიც ასრულებენ მთელ ტექნიკურ სამუშაოს გაწმენდის მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

კომისიები მუშაობენ განსაკუთრებული ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც ამასთანავე არის დართული.

ცენტრალური კომისია წინადადებას იძლევა შეუდგეთ დაუყონებლივ მუშაობას.

გაწმენდის დასაწყისის დღის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ორახელაშვილი

## ინსტრუქცია

### საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა და კანდიდატთა გაწმენდისა და შემოწმების შესახებ.

1) შემოწმებისა და გაწმენდის საწარმოებლად რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის კომიტეტთან ეწყობა ცენტრალური კომისია 3 პირთა შემადგენლობით: თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან, კომისიას ამტკიცებს ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი.

**შენიშვნა:** კომისიის წევრნი თავისუფლდებიან ყოველგვარ სხვა სამუშაოსაგან გაწმენდის დასრულებამდე. ყველა იმ ამხანაგებს, რომელნიც მოხსნილნი არიან მუშაობისაგან, გაწმენდის და შემოწმების ჩასატარებლად, ენახებათ როგორც მუდმივი სამსახურის ადგილი, ისე ჯამაგირიც.

2) გაწმენდის ჩასატარებლად მაზრებში და რაიონებში ცენტრალური კომისია ნიშნავს სამაზრო და რაიონულ კომისიებს აგრეთვე სამი კაცის შემადგენლობით.

3) ცენტრალურ კომისიას ენიჭება უფლება, იქ, სადაც მისი შეხედულებით არ არის საჭირო კომისიების შედგენა, დანიშნონ რწმუნებულები, რომელთაც თავიანთი გადაწყვეტილებანი არ გამოაქვთ, და ყველა მასალებს გადასცემენ ცენტრალურ კომისიას დასკვნისათვის და საბოლოვო გადაწყვეტილების გამოსატანად.

4) ცენტრალური კომისია ანგარიშებს აბარებს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, ხოლო სამაზრო და სარაიონო ცენტრალურ კომისიებს.

5) ცენტრალური, სამაზრო და სარაიონო კომისიები სარგებლობენ პარტიულ კომიტეტების აპარატებით.

6) პარტიული კომიტეტი, საკონტროლო კომისიები და საბჭოთა ორგანოები ვალდებულნი არიან წარუდგინონ გამწმენდ კომისიას ყველა ის მასალები, რომელიც ჩირქსა სცხებს პარტიის წევრებს.

7) გაწმენდა სწარმოებს იაჩეიკებში ამა თუ იმ იაჩეიკის წევრთა თანდასწრებით.

**შენიშვნა.** შემმოწმებელ კომისიის შეხედულებით შეიძლება გაწვეულ იქნენ აგრეთვე ამა თუ იმ წარმოების უპარტიო ამხანაგებიც.

8) პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები გაწმენდის და შემოწმების გამოცხადების დღიდან, ვალდებულნი არიან გადასცენ პარტიულ კომიტეტს ან გამწმენდელ კომისიას ყველა თავისი პარტიული დოკუმენტები, ავტო ბიოგრაფია, რომელიც შემოწმებული უნდა იყოს კომპარტიის 2 წევრის მიერ, რომელთაც შეუძლიათ მისი დადასტურება, და აგრეთვე პარტიის 3 წევრის რეკომენდაცია; ამ წევრებიდან ერთი უნდა მუშაობდეს წარმოებაში.

**შენიშვნა:** ის პირი ვინც არ წარმოადგენს ასეთ დოკუმენტებს მექანიკურად გამოირიცხებიან პარტიიდან.

9) შემოწმებას და გაწმენდას ექვემდებარებიან საქართველოს კომპარტიის წევრები, რომელნიც გატარდენ 1921 წლის გაწმენდაში.

10) ის წევრნი, რომელნიც შევიდენ პარტიაში 1921 წლის გაწმენდის შემდეგ და არ არიან გატარებულნი პარტიულ აღწერაში მექანიკურად გამოირიცხებიან პარტიიდან და გაწმენდას არ ექვემდებარებიან.

11) გაწმენდას და შესწორებას არ ექვემდებარებიან რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამიერ კავკასიის საკონტროლო კომისიის წევრნი და კანდიდატები და რუსეთის კომპარტიის წევრები, რომელნიც კავკასიის არმიაში იმყოფებიან.

**შენიშვნა:** კომპარტიის წევრები, რომელნიც ირიცხებიან საქართველოს წითელ არმიაში შემოწმებას და განწმენდას ექვემდებარებიან.

12) სამაზრო და სარაიონო კომისიების ყველა წევრები ტარდებიან გაწმენდაში ცენტრალური კომისიის მიერ.

13) პარტიის წევრები, რომელნიც მსახურებენ საგანგებო კომისიის ორგანოებში, ტარდებიან გაწმენდაში ცენტრალურ კომისიის მიერ.

14) გაწმენდის გატარების დროს დაუყონებლივ უნდა განიდევნონ პარტიიდან:

ა) ყველა საეჭვო და არასამედო ელემენტები;

ბ) სოფლის კულაკები და ის პირნი, რომელნიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით;

გ) ის წევრები, რომელნიც გადმოვიდნენ სხვა პარტიებიდან, რომელნიც ეკუთვნიან მოხელეთა წრეს, რომელნიც იმყოფებოდნენ მენშევიკების დროს სახელმწიფო სამსახურში, რომელთაც არ გამოიჩინეს კომუნისტურ პარტიაში აქტივობა და გამოაშკარავეს თავის მერყეობა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში;

დ) რომელნიც ვერ განთავისუფლდნენ ნაციონალისტური გავლენისაგან;

ე) რომელთა პირადი ცხოვრება არ შეეფერება იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც პარტია უყენებს ყველა თავის წევრებს;

ვ) რომელნიც თავის მოქმედებით ძირს უთხრიან პარტიის ავტორიტეტს;

ზ) რომელთაც არ შეასრულეს პარტიულ ორგანიზაციების დადგენილებით;

თ) რომელნიც ბოროტად იყენებენ თავის ძალა უფლებას ან თანამდებობას;

ი) ყველა ვინც წარმოადგენს ზედმეტ ბალასტს;

კ) ყველა ისინი, ვინც თავის ნებით შევიდნენ ნაციონალისტურ პოლკებში პარტიულ ორგანიზაციების ნებადაურთველად არალეგალურ მუშაობის დროს;

ლ) ყველა სხვა პარტიის წევრნი, რომელნიც შევიდნენ კომპარტიაში საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ მექანიკურად გამოირიცხებიან პარტიიდან.

15. საჭიროა დიდი ფორმალობისათვის გვერდის ახვევა იმ მუშებისადმი, რომელნიც მუშაობდნენ გაწმენდის მომენტამდე წარმოებაში და იმ მუშებისადმი, რომელნიც მოხსნილნი არიან წარმოებიდან არა უადრეს 6 თვისა და გადაყვანილნი არიან საბჭოთა ან პარტიულ მუშაობაზე, რომელთა ეკონომიური მდგომარეობა ბუნებრივად იზიდავს მათ კომუნისტურ პარტიაში.

16. წითელ არმიელები, გლეხები და არმიის საკომანდო შემადგენლობა ტარდებიან გაწმენდაში წარსული გაწმენდის მიხედვით.

17. სარაიონო და სამაზრო კომისიების ყველა დადგენილებებს ამტკიცებს ცენტრალური კომისია, ცენტრალურ კომისიის მიერ დამტკიცებამდე დადგენილების პრესაში გამოქვეყნება არ შეიძლება.

18. პარტიის გაწმენდის მთელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს სასწრაფო წესით და უნდა დასრულდეს ერთი თვის განმავლობაში გაწმენდის გამოცხადების დღიდან.

19. ცენტრალურ სამაზრო და სარაიონო კომისიების დადგენილებათა გასაჩივრება შეიძლება იქნას წარდგენილი არა უგვიანეს ერთი კვირისა პარტიიდან გამორიცხვის შესახებ გამოქვეყნების დღიდან.

20. სამაზრო და სარაიონო კომისიების დადგენილებათა გასაჩივრება უნდა წარადგინონ ცენტრალურ კომისიაში, ხოლო ცენტრალური კომისიის დადგენილებისა—რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში.

**შენიშვნა:** ამა თუ იმ კომისიის დადგენილების გასაჩივრება წარდგენილ უნდა იქნეს იმავე კომისიების საშუალებით, რომელნიც იძლევიან თავიანთ დასკვნას და განმარტებას.

21. პარტიიდან გამორიცხვის ან პარტიის წევრად დამტკიცების შესახებ აკეთებენ შენიშვნას ანკეტაზე, პარტიულ ბილეთზე ან მოწმობაზე, სამაზრო, სარაიონო და ცენტრალური კომისიები.

22. პარტიის იმ წევრთა ყოველგვარი მივლინებანი, რომელნიც არ გატარებულან გაწმენდაში, დასაშვებია გაწმენდის დროს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაუდებელ საბჭოთა ან პარტიულ საქმეების გამო, მაგრამ კომისიის ნებადართვით.

23. გაწმენდის და შემოწმების დასრულების შემდეგ ყველა მასალები გაწმენდის და შემოწმების შესახებ არ შეიძლება განხილულ და გადასინჯულ იქნას საქართველოს საკონტროლო კომისიების და პარტიულ კომიტეტების მიერ.

24. გაწმენდის დასრულების შემდეგ უნდა შესდგეს ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის ცხრილი გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ.

საქართველოს კომპარტიის გაწმენდის ცენტრალურმა კომისიამ თავმჯდომარე გორობჩენკოს და წევრთა ამხ. თოდრიას და სტურუას შემადგენლობით 1922 წ. 20 სექტ. სხდომაზე დაადგინა დანიშნულ იქნეს საქ. კომპარტიის გამწმენდ სარაიონო კომისიის წევრებად შემდეგი კანდიდატები:

1. **ქალაქის რაიონი.** თავმჯდ. მელნიკოვი (აზერბ.) წევრნი ამხ. ოქუაშვილი, ამხ. ჯორბენაძე.

2. **რაიონი.** თავმჯდ. ამხ. კურკოვი (აზერბ.) წევრნი: ალი-ტაგი-ზადე, ამხ. ბოლქვაძე

3. **რაიონი.** თავმჯდ. ამხ. ბოლოსოვი (აზერბ.) წევრნი: ამხ. გვიდენი, ამხ. პ. საყვარელიძე.

4. **რაიონი.** თავმჯდ. ამხ. ზერგმანი, (აზერბ.) წევრნი ამხ. ფიცხალავა და ამხ. სელოვიანი.

**სამაზრო კომისიები განზრახულია მოეწყოს შემდეგნაირად:**

**აბხაზეთის რესპუბლიკა.** თავმჯდ. ამხ. სიმონ ჯუღელი (თბილისი), წევრნი: ამხ. იოსებ იოჭაკი (აზერბ.) და ამხ. აკირტავა (სოხუმი).

**ბათუმის ოლქი** თავმჯდ. ამხ. ეშბა (ბათუმი), წევრნი ამხ. არჩილ გეორგაძე (გორი) და გაჯიმამა (აზერბ.)

**ფოთის და სენაკის მაზრა.** თავმჯდ. ამხ. ბესარ. გოგია (ფოთი), წევრნი: ამხ. გიორგი როთველაძე (ტფილისი) და ამხ. ოვანეს ტევატროსი (აზერბ).

**ზუგდიდის მაზრა.** თავმჯ. მაკარი ბედია (ახალ სენაკი), წევრნი: ვანო მურდალაშვილი, (ტფილისი) და ნაგიევი-ნაგი (აზერბ).

**ოზურგეთის მაზრა** (გურია). თავმ. ვალია ბახტაძე (ქუთაისი), წევრნი: ამხ. გრიგ. მგალობლიშვილი (ოზურგეთი) და სუკრომოვი ექვთიმე (აზერ.)

**ქუთაისის მაზრა.** თავმჯდ. კაპარავა კორნელი (ქუთაისი), წევრნი: კოსტია ხომერიკი (ტფილისი) და მუხადი-გუსეინ-ასკარი (აზერბ.).

**ლეჩხუმის მაზრა და სვანეთი.** თავმჯდ. მოსე კვარაცხელია (ტფილისი), წევრნი: ამხ. ხარაბაძე იოსები (ქუთაისი) და ამხ. ემელიანოვი (აზერბ.).

**რაჭის მაზრა.** თავმჯდ. პარმენ წულუკიძე (ონი-რაჭა), წევრნი: ამხ. ბეზდელიუხინი, (აზერბ.) და ამხ. შენგელია იოსები (ტფილისი)

**შორაპნის მაზრა.** თავმჯდ. ამხ. კახრიკია მიხეილ (ქუთაისი), წევრნი: სევერია მასკუბია (თბილისი) და ამხ. კრასნოიარსკი (აზერბ.).

**გორის მაზრა.** თავმჯდ. ალექსი ვაშაძე (შორაპ.); წევრნი, უნანიან ოგანესი (ტფილისი), და ამხ. კულიევი ჯალილ (აზ.)

**სამხრეთ ოსეთი.** თავმჯ. ჩიუპრიკოვი (აზერბ.) წევრნი ჯატიევი (სამხრეთ ოსეთი) და აგაბაბოვი გარეგინ (თბილისი).

**დუშეთის მაზრა.** თავმჯდ. სერგო ხანინიანი (თბილისი) წევრნი: ლევან მიროტაძე (თბილისი) და კვიტჩენკო (აზერბ.).

**თიანეთის და თელავის მაზრები** თავმჯდ. ხუტულაშვილი (თბილისი), წევრნი იაკვინი (აზერბ.) და ვლ. ქავთარაძე (თბილისი).

**სიღნაღის მაზრა** თავმჯ. ათაბეკოვი არშაკი (თბილისი) წევრი გვარამაშვილი მოსე (სიღნაღი).

**ბორჩალოს მაზრა** თავმჯ. კოჩეტკოვი იაკობი (თბილისი), წევრნი პლატხანოვი (აზერბ.) და მამანოვი (ბორჩალო).

**ახალქალაქის და ახალციხის მაზრები**—გაიგზავნება რწმუნებული.

**თბილისის მაზრა** თავმჯ. ელენტი თენგიზ (თბილისი), წევრნი: პარმენ ცინცაძე (გურია—ლანჩხუთი).

# დიდი ამბების მოლოდინში

მთელი მსოფლიოს ყურადღება დღეს ახლობელ აღმოსავლეთისაკენაა მიპყრობილი. უეჭველია იქ ხდება მსოფლიო მნიშვნელობის ამბები, რომლებსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ძირითადი ცვლილებები არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიაც.

გუშინ ჩვენ გვქონდა გამოქვეყნებული გაზეთში ანტანტის კოლექტიური ნოტა ანგორის მთავრობისადმი. ანტანტა, ჩვეული დამონებულ ხალხებთან რიხიან ლაპარაკს, დღეს, ოსმალეთის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, უკვე დაბალი ტონით ესაუბრება მას და იწვევს კონფერენციაზე ახლო აღმოსავლეთის საკითხების გადასაჭრელად და „საბოლოო“ ხელშეკრულების გამოსამუშავებლად და დასადებად. ამასთან ანტანტა „კეთილშობილებას“ იჩენს და აცხადებს, რომ საოკუპაციო ჯარები გაყვანილ იქნებიან სტამბოლიდან მაშინათვე, როცა ხელშეკრულება შევა ძალაში, ოსმალეთს გადასცემენ ფრაკიას მარიცამდე და ადრიანოპოლს, ოსმალეთი მიღებული იქნება ხალხთა ლიგაში და სხ. სამაგიეროდ მოკავშირენი მოითხოვენ, რათა ოსმალეთის ჯარები არ გადავიდნენ ე. წ. ნეიტრალურ ზონებში, სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოების განმავლობაში. რაც შეეხება სრუტეებს, მათი „ნამდვილი თავისუფლება“, ნოტის სიტყვებით, უნდა განხორციელდეს ხალხთა ლიგის ხელმძღვანელობით. ერების „გულშემატკივარი“ მოკავშირენი არ ივიწყებენ ეროვნულ უმცირესობებსაც და მოითხოვენ მათი ნაციონალურ და სარწმუნოებრივ უფლებების უზრუნველყოფას.

მოკავშირეთა ეს ნოტა ააშკარავებს ანტანტის უძლურებას და შიშს მომხდარ ამბების გაფართოვების და განვითარების წინაშე, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ევროპის იმპერიალისტების გაძევება მთელი აღმოსავლეთიდან და ამით მათი ბატონობის ძირიანად შერყევა საკუთარ ქვეყნებშიც. ანტანტა ცდილობს მოახდინოს მომხდარ ამბების ლოკალიზაცია და სრული ლიკვიდაციაც, ისე რომ შეინარჩუნოს ახლო აღმოსავლეთში ხელმძღვანელის და არსებითად მბრძანებელის როლი.

და რომ ოსმალეთის გამარჯვება გამოძახილს პოულობს აღმოსავლეთის დანარჩენ ხალხებში, რომელშიც ამასთან დაკავშირებით იზრდება რევოლიუციონურ—განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ამას ნათელი უტყუარი ფაქტები ადასტურებს. მესოპოტამიაში დაიწყო აჯანყება. აჯანყებულთა წარმომადგენელმა ინგლისს ომი გამოუცხადა. ერთ ქალაქში ინგლისის ჯარებს გარს შემოერტყნენ აჯანყებულები. სპარსეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში ოსმალეთის გამარჯვებამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია, იქ ამ ფაქტს უყურებენ როგორც დასაწყისს აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლებისას ევროპის იმპერიალიზმის უღლიდან. არის ნიშნები, რომ აჯანყების ცეცხლი მოედება მთელ დამონებულ აღმოსავლეთს.

რა ძალა გააჩნია ანტანტას, რათა ჩააქროს ეს აჯანყების გზაზე დამდგარი ხალხები?—არავითარი ძალა. კაპიტალისტური ევროპა დღეს ვულკანს წარმოადგენს, რომელიც მზად არის აფეთქებისათვის. მძვინვარე ეკონომიური კრიზისი და გაალმასებული კლასობრივი ბრძოლა იმის თავდებია, რომ თუ ანტანტამ დაიწყო ახალი ომი, ევროპაში სოციალური რევოლიუცია აუცილებელია. ამ მხრივ საყურადღებოა, სხვათა შორის, ის ცნობა, რომელსაც დღეს ვბეჭდავთ, რომ ინგლისის მუშებს დაუდგენიათ, თუ ომი დაიწყო, დაუყონებლივ გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა. ასეთი რევოლიუციონური განწყობილებაა მუშებში სხვაგანაც.

ცხადია, რომ თუ კაპიტალისტური ევროპა ახალ ომს გააჩაღებს, ეს იქნება მისთვის საბედისწერო და საკუთარი საფლავის გათხრა. ეს ანტანტამ სხვებზე უკეთ თვითონ იცის, და ის შეეცდება დიპლომატიური ხრიკებით ფონზე გასვლას, მისთვის შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობიდან თავის დაღწევას. იგი შეიძლება დროებით ერთგვარ დათმობებზედაც წავიდეს, რათა მოადუნოს აღმოსავლეთის ხალხთა აღტყინებული რევოლიუციონური ნებისყოფა, რომ შემდეგ, როცა „მშვიდობიანობა“ დამყარდება, ისევ წამოაჯდეს მათ ზურგზე, მთელი თავისი სიმძიმით.

როგორი უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში ანგორის პოზიცია? ბრძოლა ბოლომდე, არა მარტო ოსმალეთის, არამედ მთელი აღმოსავლეთის განთავისუფლებამდე ევროპის იმპერიალისტურ კაპიტალიზმისაგან,—ამას მოითხოვს მათი სასიცოცხლო ინტერესი.

დაადგება თუ არა ამ გზას ანგორა, ამის დანამდვილებით თქმა ეხლა შეუძლებელია. ჯერ ანგორას პასუხი არ გაუცია ანტანტის წინადადებაზე კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ამასთან აღსანიშნავია წინედ მიღებული ცნობა, რომ ანგორა მოითხოვს, რათა განზრახულ კონფერენციაზე მოწვეულ იქნეს საბჭოთა ფედერაცია. საბჭოთა რუსეთის ანტანტისადმი მიმართულ ნოტაში კატეგორიულადაა გამოცხადებული, რომ საბჭოთა ფედერაციის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე შემდგარ კონფერენციის გადაწყვეტილებას მისთვის არ ექნება არავითარი ძალა. თავის თავად ცხადია, რუსეთი დღეს ისეთი ფაქტორია საერთაშორისო პოლიტიკის, რომ ვერც ერთი საერთაშორისო საკითხი ვერ ჩაითვლება გადაჭრილად მის გარეშე. მეორე მხრივ, ანტანტა ჭირივით გაურბის რუსეთთან შეხვედრას, მით უმეტეს ახლო აღმოსავლეთის საკითხების შესახებ, ვინაიდან რუსეთს შეუძლია მთლად არიოს მათი გეგმები და მოვლენებს მისცეს სულ სხვა მიმართულება, რასაკვირველია, ანტანტისათვის არა სასურველი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ცნობა, რომ ქემალის ჯარები შესულან ნეიტრალურ ზონაში და საერთოდ ემზადებიან შემდეგი შეტევისათვის.

ამ გვარად საკითხი ისმის: კონფერენცია და საკითხების „მშვიდობიანი“ მოგვარება, თუ ომის გაგრძელება? პირველ შემთხვევაში შეიძლება ოსმალეთმა მოიპოვოს ერთგვარი უფლებები, და ეს უფლებები იქნება უფრო მეტი და ფართე მაშინ, როცა რუსეთს მიეცემა შესაძლებლობა კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებისა. მაგრამ ეს მაინც იქნება ოსმალეთის მხოლოდ დროებითი და ნაწილობრივი გამარჯვება, ვინაიდან ანტანტა ასე ადვილად არ დასთმობს თავის იმპერიალისტურ ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომენტი ხელსაყრელია, რათა დაიწყოს საერთო და გენერალური ბრძოლა აღმოსავლეთის ხალხებისა მათი სულთამხუთავ დასავლეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ. არის ნიშნები, რომ დაწყებული ბრძოლა გაფართოვდება და მასში ჩაებმებიან ყველა დაჩაგრული ხალხები.

ჩვენ დიდი ამბების მოლოდინში ვიმყოფებით. საბჭოთა რესპუბლიკები ფხიზლად და მზად უნდა იყვნენ ყოველგვარ შესაძლებლობისათვის.

# ჩვენი პარტიის გაჯანსაღება

ყოველგან ყოველ ადამიანს სჭირდება თავისი ჯანის შემოწმება და თავიდან მიცილება ისეთი ავადმყოფობისა თუ სენის, რომელიც პირველ დაწყებითაც შეიძლება არ იყოს ძალიან რთული და დიდათ საშიში მთელი სხეულის დაშლისათვის, მაგრამ შემდეგ, თუ თავის ანაზარათ იქნა მიტოვებული და თვით დაწყებიდანვე არ იქნა ძირიანათ ამოგლეჯილი, მაგრათ გაიდგამს ფესვებს და პროცესი იმდენათ შორს წავა, რომ მთელს სხეულს შეჭამს.

ასევე ითქმის პარტიის შესახებაც. პარტიასაც ესაჭიროება დრო გამოშვებით გადათვალიერება—შემოწმება, რათა შიგ არ გაჩნდეს რაიმე ავადმყოფობა და არ გახრწნას და გადააგვაროს ის. ეს მით უფრო ითქმის ისეთ პოლიტიკურ პარტიაზე, როგორიცაა ჩვენი პარტია, კომუნისტური პარტია. ეს პარტია მუშებისა და ღარიბი გლეხების პარტიაა, რომელიც უბრალოთ კი არ უდგას სახელმწიფოს სათავეში და მიჰყავს ხალხი ცხოვრების ძველი გზით, არამედ ახდენს გადატრიალებას მთელ სოციალურ ყოფა ცხოვრებაში და ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ წყობილებას, რომელიც ჯერ არსად არ ნახულა და არავის არ გაუგონია, წყობილებას მუშებს და ღარიბი გლეხებისას, რომლებიც მთელი ათეული საუკუნოების განმავლობაში მდაბართა ხროვის უბრალო საწყალ ფერათ იყვნენ გადაქცეული და მხოლოთ ახლა გახდენ თავის თავის ბატონ პატრონი.

აი ასეთი პარტია ყველაზე უფრო მეტად საჭიროებს თავისი რიგების გადათვალიერებასა და მის გაწმენდას საეჭვო ელემენტებისაგან, რომლებიც ანგარიანი თუ სხვა ამგვარი მიზნებით მიეკედლენ მას, როგორც გაბატონებულ, მართველ პარტიას და ცდილობენ რამდენიმეთ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ ის. ამიტომ დრო გამოშვებით საჭირო ხდება უკან მიხედვა და ჩამწკრივებული რიგების გადათვალიერება, რათა თავიდან მოიცილოს და თავის წრიდან შორს გადისროლოს ისეთი ელემენტები,—სულ ერთია ძველი იქნება ის თუ ახალი, ვინაიდან ძველიც ბევრი დარჩა კიდევ კუნჭულებში მიმალული,—ისეთი ელემენტები, რომლებსაც არავითარი საერთო არ აქვს არც თავისი სოციალური მდგომარეობითა და ფსიქოლოგიით და არც თეორეტიული მომზადებით ჭეშმარიტ კომუნიზმსა და ინტერნაციონალიზმთან (ვამბობთ ინტერნაციონალიზმთან და არა კოსმოპოლიტიზმთან, ვინაიდან ჭეშმარიტი ორტოდოქსალური მარქსიზმი სცნობს არა კოსმოპოლიტიზმს არამედ ინტერნაციონალიზმს; პირველი წვრილ-ბურჟუაზიული ლოზუნგია და მაშასადამე, არსებითად, როდესაც ის ცხოვრების სინამდვილეს დაუახლოვდება, უხეშ ნაციონალიზმათ იქცევა, მეორე კი პროლეტარულ კომუნისტური და სავსეა ჯანსაღი სასიცოცხლო წვენითა, და პირიქით, ეს უკანასკნელი მხოლოთ შირმაა ნაციონალისტური და შოვინისტური, ანტიკომუნისტური საქმის საკეთებლათ, წვრილი ერების (რასაკვირველია მათი მშრომელთა უმრავლესობის) ჩაგვრის იდეის ჩუმ განმტკიცებისათვის.

ვამბობთ ძველიც ბევრი დარჩა, ვინაიდან, როგორც მკითხველებმა იციან შარშან ამ დროს დაიწყო ჩვენი პარტიის გაწმენდა უღირსი ელემენტებისაგან და ვინაიდან ის, როგორც მართველი პარტია ნორჩი იყო (25 თებერვლიდან, როდესაც ის სახელმწიფო საქმეს დაეპატრონა, განვლო სულ შვიდმა თვემ) და რასაკვირველია პირველ ხანებში შეუძლებელი იყო ყველასი კარგათ გამოცნობა და დაფასება კომუნისტური საქმიანობის მიხედვით.

ამიტომ შარშანდელი გამწმენდი კომისიების ნაკლი უნდა გამოასწორონ ამ ახალმა კომისიებმა, რათა პარტია გაიწმინდოს მის უღირს წევრებისაგან, რომლებიც გაიხრწნენ დღევანდელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის გამო და სხვებით დაივიწყეს კომუნისტური მორალი.

გამწმენდმა კომისიებმა, რომლებიც შექმნილია დღეს პარტიის სწორეთ ამ ამოცანის ღირსეულად სისრულეში მოყვანისათვის, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ ელემენტებს, რომლებიც გამჯდარნი არიან კოლონიზატორულ სულის კვეთებით და ეს უკანასკნელი ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის და კომუნიზმის სამოსელში აქვთ გახვეული. ასეთი ელემენტები ჩვენ პარტიაში არის და ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, და მიექცეს მით უფრო დღეს, როდესაც რუსეთის შოვინისტური, კონტრ რევოლიუციონური ინტელიგენცია, რომელიც სასტიკ გააფთრებულ ომს აწარმოებდა ჩვენთან სამოქალაქო ომის პერიოდში ყველა ფრონტებზე, დღეს ჩვენთან არშიყობაშია გართული და სიყვარულს გვიხსნის, წარმოიდგინეთ, ჩვენც კი გვასწრებს წინ. ესენია „სმენავეხელები“, რომლებიც იმყოფებიან არა მარტო საზღვარ-გარეთ, არამედ საბჭოთა რუსეთშიაც და აქაც, ჩვენშიც. რასაკვირველია, როგორც საბჭოთა მომუშავეები და სპეცები, ისინი შეიძლება, და აუცილებლათაც გამოყენებული უნდა იქნენ საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობითი მუშაობაში, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმათ მხოლოთ ფერი იცვალეს და არსებითად კი ისევ კადეტები, ოქტომბრისტები და საზოგადოთ კონტრ-რევოლიუციონერები, მაშასადამე, ჩვენი მტრები, დარჩენ. აი ამათგან ჩვენი პარტია სავსებით თავისუფალი უნდა იყოს, ვინაიდან მთავარი სულის ჩამდგმელი კოლონიზატორობის სწორეთ ასეთი ხალხია. ხოლო კოლონიზატორობა კი ყველაზე უფრო საშიშია ჩვენთვის, ვინაიდან ის შობს და იწვევს მეორე ავადმყოფობას პარტიაში, სახელდობრ, ნაციონალიზმს. როგორც ერთი, ისე მეორე უარყოფითი, ანტიპროლეტარული მოვლენაა, და რომ ეს მეორე მოვლენა, ნაციონალიზმი არ გაჩნდეს ჩვენს კომუნისტურ პარტიაში, საჭიროა გაბურღებულ შანთით იქნეს ამომშვარი მისი წარმომშობი მიზეზი, პარტიისათვის უცხო ინტელიგენტების კოლონიზატორული მიდრეკილება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამწმენდი კომისია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას კომუნიზმის და ინტერნაციონალიზმის სრული სისპეტაკე, ღირსეულათ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და თვალს დაუყენებს კომუნიზმის აშკარა თუ ფარულ მტრებს.

ქ. კომუნაძე.

ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში გაიმართება

# საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) დედობისა და ბავშვობის დაცვის შესახებ, 2) კომისიის მოხსენება მუშათა სახლების შეკეთების შესახებ, 3) პროფკავშირთა ბიულეტენის შესახებ, 4) მიმდინარე საქმეები. საკითხების მნიშვნელოვანების გამო პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(3—2) **საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი.**

# მენშევიკების მიერ „შეთხზული ლეგენდები“

გაზ. „საქართველოს ხმა“, საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო—15 სექტემბრის ნომერში სწერს: „ცეცხლით სუნთქავს დაპყრობილი საქართველო „წითელი“ ხიშტებით „დამშვიდებულ“ ცხოვრების ზედაპირზე ისმის გუგუნი მიწის ქვეშიდან და ალი ჩნდება ხან აქ, ხან იქ რაღაც ბუნებრივი აუცილებლობით... კომუნისტური პრესა პირში წყალ ჩაგუბებულია. ის სდუმდა როცა სისხლი იქცეოდა სვანეთში, ის სდუმს, როცა სისხლი იქცევა კახეთში, ქართლში, გურიაში, დუშეთში.

„რითია გამოწვეული ეს სისხლის ღვრა? ვინ არიან საქართველოს მთაკლდეში გახიზნული რაზმები? ვის წინააღმდეგ იგზავნებიან ჩვენი მეომრები? ვინ ვის ებრძვის? რა სარჩული უდევს ამ დრო გამოშვებით და გაუთავებელ შეჯახებას“?

„მკითხველი ვერ იპოვის კომუნისტურ გაზეთებში ვერც ერთ სტრიქონს ამ კითხვებზე“.

მკითხველს შეეძლო ეპოვნა კომუნისტურ გაზეთებში არა ერთი ასეული სტრიქონი მენშევიკურს ფურცელში აღძრულ საკითხის შესახებ. მაგრამ ცხადია მკითხველს არ შეეძლო ეპოვნა ჩვენს პრესაში ის უაზრო განგაში, რომელიც მენშევიკებმა ასტეხეს. რა თქმა უნდა, ჩვენი პრესა არ ფარავს სიმართლეს,—ის საშინელი სურათი, რომელიც დახატა მენშევიკურმა ფურცელმა, არის შეთხზული ლეგენდა.

„ცეცხლით სუნთქავს დაპყრობილი საქართველო“ „ისმის გუგუნი მიწის ქვეშიდან“... „დაუსრულებელი სისხლის ღვრა“... „სისხლი და საშინელება“. ზეცის და დედა მიწის კვნესა...

ყველაფერი ეს სრული სიყალბეა. ამ ისტორიულ ყვირილს მართავს ან ავადმყოფი ხალხი, რომელმაც დაჰკარგა სულიერი სიმშვიდე, ან პოლიტიკური აფერისტები, რომელნიც შეგნებულად სთხზავენ ლეგენდებს ევროპის პოლიტიკური ქულიკებისა, შანტაჟისტებისა და... ალალ-მართალთათვის.

რა თქმა უნდა, საქართველოში გრძელდება ბრძოლა მშრომელთა ახალ დამკვიდრებულ ხელისუფლებასა და განადგურებულ, ბურჟუაზიულ მენშევიკურ, ინტელიგენტურ თავადაზნაურულ, ძველი სამართველოს უმნიშვნელო ნაშთებს შორის. რა თქმა უნდა საქართველოში არიან ყოფილი თავადები, აზნაურები, ოფიცრები, დარჩენ მენშევიკები, ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც განაგრძობენ შეურიგებელ ბრძოლას საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლას აქვს შედარებით უმნიშვნელო, წვრილმანი ხასიათი. მტერი დაწვრიმალდა, მის ძალებს არა აქვთ სერიოზული გასაქანი, მასამ ზურგი შეაქცია გუშინდელ საქართველოს ბატონ-პატრონებს და მიატოვა ისინი ღვთის ანაბარად. მაგრამ მენშევიკების ლიტერატორები მაინც განაგრძობენ თავის ცალიერ დიპლომატიას. ცრუ—კლასიკურ სტილით ისინი სწერენ:

„საქართველოს ერი გარშემორტყმულია ბრძოლის ალით. უცხო ძალა ანგრევს საქართველოს მთებს და ველებს“.

სასაცილონი ხართ, ბატონებო! საქართველო იწვის თქვენ დაავადებულ წარმოდგენაში. მას „ანგრევს“ მენშევიკების ცალიერი სიტყვების ცეცხლი. საქართველოს ხალხი, მისი მუშები და გლეხები ძალიან დაშორებულნი არიან იმ უმნიშვნელო მაგრამ ავანტიურისტულ სისხლისმღვრელ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებთ თქვენ და თქვენი ბურჟუა მემამულეთა მოკავშირეები საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს მუშებს და გლეხებს დღეს მშვიდობიანობა და წესრიგი სწყურიათ და არა ახალი ომი, რომელსაც საჭიროებს ევროპის იმპერიალიზმი და მისი სოციალისტური ლაქიები.

„სისხლი იქცევა კახეთში, ქართლში, გურიაში, დუშეთში“. დუშეთი მგონი ქართლში უნდა მდებარეობდეს. მაგრამ მენშევიკი სწერს „დუშეთს“ „ქართლის“ გვერდით, რომ რაცხვით მეტი გამოვიდეს. კახეთში და დუშეთის მაზრაში მოქმედებდა პატარა ავანტიურისტი, ნახევრად სისხლის სამართლის დამნაშავე ბანდიტი, თავადი ჩოლოყაშვილი. მუხანათურად მოატყუა მან ძალიან ჩამორჩენილი, ხევსურთა ტომი, გახვია ეს ხალხი უაზრო ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო თვითონ ბრძოლის დაწყებამდე დაიმალა კახეთში, დაარწმუნა რა ხევსურები, რომ მიდის, პირველმა შეებრძოლოს საბჭოთა რაზმებს. გურიაში მოქმედებენ, ცალ-ცალკე, სრულიად უმნიშვნელო ბრბოები რომელნიც თავს ესხმიან მატარებლებს, სძარცვავენ ვაჭრებს, განსაკუთრებით ებრაელებს და აწყობენ პატარ-პატარა ტერორისტულ აქტებს.

ყველა ეს მოვლენები სრულებით არ არის დაკავშირებული ხალხის მასის განწყობილებასთან. თავადი ჩოლოყაშვილის გამოსვლები, რომელსაც უეჭველია მენშევიკები რეკლამათ გამოიყენებენ და უწოდებენ მას გრანდიოზიულ სახალხო მოძრაობას,—ნამდვილად კი ის სოციალ ბრძოლაში დამარცხებულ აზნაურების ტიპიური ბანდიტიური გამოსვლაა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის განცხადებაში კი 10 სექტემბრის თარიღით ვკითხულობთ: „ის ამბები, რომელსაც ადგილი აქვს კახეთში და დუშეთში, პირდაპირ შედეგია იმ საერთო პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებს საქართველოში საოკუპაციო მთავრობა საქართველოს დაპყრობის დღიდან. ეს არის **ხალხის სტიქიური პროტესტი** დამპყრობლების წინააღმდეგ“.

ამგვარად, თავადები ჩოლოყაშვილი, ვაჩნაძე და სხვები არიან გამომხატველნი ხალხის სტიქიური პროტესტისა! მხოლოდ უსინდისო პოლიტიკურად გაკოტრებული, მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც საბოლოვოდ ჩამოშორდა ხალხთა მასებს, შეუძლია განაცხადოს, რომ ოფიცერ-თავადების ნაშთების ამბოხება არის ხალხური მასების უკმაყოფილების გამოხატულებაა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია დიდ იმედებს ამყარებს ბანდიტურ მოძრაობაზე—ამ პარტიის მრავალი წევრები ადგილობრივ უწევენ პირდაპირ, პრაქტიკულ დახმარებას თავზე ხელ აღებულ ოფიცრებს.

ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო პოლიტიკურად იცავენ საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრებს. თავიანთ ფურცელში „საქართველოს ხმაში“ ქართველი მენშევიკები ტკბილად ოცნებობენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკა ახლო მომავალში დაიღუპება და ამნაირად გაეხსნებათ მოქმედების ასპარეზი ბურჟუაზიას და მის მოსამსახურე სოციალ-დემოკრატიას.

თქვენ უაზროთ ატყუებთ თქვენ თავსაც და სხვებსაც, მოქალაქენო! საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ ყოფილა ისე მაგარი, როგორც დღეს. ბანდიტური მოძრაობა, თუ მართლადაც იგი მიიღებდა ასე თუ ისე ფართო ხასიათს, ამასი მაჩვენებელი იქნებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. ყველა საბჭოთა რესპუბლიკებმა გამოიარეს ბანდიტიზმის ხანგრძლივი ხანა. რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ციმბირში, ბანდიტიზმი ზოგჯერ ძალიან მძიმე პირობებში აყენებდა ხელისუფლებას, მაგრამ თავისთავად ბანდიტიზმი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მტერს ავანტიურის გზა და დარჩა, რომ მისი დღეები დათვლილია. პოლიტიკური პარტია, რომელიც მხარს უჭერს ბანდიტურ მოძრაობას, უკვე დაღუპვის კარზე მიმდგარი პარტიაა. მენშევიკური პარტია, რომელიც ჰფარავს ბანდიტურ გამოსვლებს, რომელიც მხარს უჭერს მას პრაქტიკულად და პოლიტიკურად, თვით ამით სასიკვდილო განაჩენს თვითვე აწერს ხელს.

და დეე ამ გაუბედურებულმა პარტიამ „თხზას ლეგენდები“, დეე განაგრძოს მან სისხლით ბოდვა! საქართველოს სოციალ-დემოკრატია სულს ლაფავს,—მისთვის საჭიროა ხელოვნური ალგზნება—და აი ის კიდეც ღებულობს „სულიერ“ კოკაინს, იმყოფება პოლიტიკურ ნარკოზის ქვეშ.

მაგრამ ნარკოტიკები ისპობიან—გამარჯვებული რევოლუცია კი მიდის წინ.

**ილ. მგელაძე**

# რადიო-დეპეშები

## ახლო აღმოსავლეთის ამბები

### ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია

**კერზონის განცხადება**

**ბორდო,** 23 სექტ. ლონდონში გამგზავრების წინ ლორდ-კერზონმა განაცხადა, რომ ის სავსებით კმაყოფილია თავისი გამგზავრებით და იმედოვნებს, რომ გაგზავნილი ნოტა იქნება დასაწყისი ახლო-აღმოსავლეთის საკითხის საბოლოვო გადაწყვეტისა. იგი დარწმუნებულია, რომ ქემალ-ფაშა მიიღებს წარდგენილ პირობებს. დასკვნაში კერზონმა დაუმატა, რომ კონფერენციამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა განიხილოს, რათა გამართოს მოლაპარაკება რუსეთთანაც.

**ლოიდ-ჯორჯის განცხადება**

**კროიდონი,** 25 სექტ. გაეცნო რა პარიზის გუშინდელ მოლაპარაკებას ლოიდ-ჯორჯმა ლონდონში გააკეთა მოხსენება, რომელიც საზღვრავს ბრიტანეთის პოლიტიკის მთავრობის მოქმედება. ნაკარნახევი იყო ორ უმთავრეს მოსაზრებით პირველი ინგლისის შიში ხმელთა შუა ზღვის და შავი ზღვის შორის მომავლის თავისუფლების მოსპობის წინაშე, რაც არის მთელი ქვეყნის მშვიდობიანობის პირობა, ვინაიდან მომავალშიაც უნდა იყოს ამ მიმოსვლის თავისუფლების გარანტია. მიღებული ზომები მიმართული იყო იქითკენ, რომ უზრუნველ ყოფილიყო ეს თავისუფლება, რაც არსებითი ფაქტორია ცივილიზაციისათვის. ბრიტანეთი აქეთკენ მიილტვოდა თავის პოლიტიკაში, რომელიც მოწონებულია ყველა მისი მოკავშირეების მიერ ინგლისის მეორე მიზანს შეადგენდა ამ საშინელი ომის თავიდან აცილების განზრახვა. ჩანაკში და სხვა ადგილებში ნეიტრალური ზონის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი იყო აბსოლიუტურად განმარტოებული თავის პოზიციაზე, როგორც ბერძნების ისე ოსმალეთისადმი, და მოიგონა, რომ რამდენიმე კვირის წინეთ მან აღუკრძალა ბერძნებს კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ გალაშქრება, და თუმცა ფრანგებს ეკავათ მაშინ ჩატაჯის ხაზი, მაგრამ მოკავშირეთა ძალებს მთავარსარდალი იყო ინგლისის გენერალი.

ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ ბერძნებს მან მიმართა იმავე კილოთ და გამოთქმით, როგორც ქემალ ფაშას, და რომ მას არ შეეძლო ნეიტრალურ ზონის გადალახვის ნებართვა მიეცა ბერძნებისათვის, რისთვისაც ინგლისის ჯარები სასწრაფოდ გაიგზავნა კონსტანტინეპოლიდან ჩიტაჯდაკის ხაზზე საფრანგეთის ჯარების დასახმარებლად, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ ბერძნებისაგან ნეიტრალურ ზონაში შეჭრის ყოველ გვარ ცდისათვის. ლოიდ ჯორჯმა სთქვა, რომ ინგლისს სურს, რათა გალიპოლთან და ჩანაკასთან მისასვლელი ადგილები დარჩეს ერთა ლიგის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს სრუტეების თავისუფლებას ყველა ერების ინტერესების მხედველობაში მიღებით. დასასრულ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „ჩვენი მიზანია ზავი, რაზედაც ჩვენ ვზრუნავთ. ომს ჩვენ ვსთვლით უბედურებად, და ამიტომ მის თავიდან ასაცილებლად ჩვენ მივიღეთ ნამდვილი ზომები.

### ამხ. კარახანის ნოტა

**მოსკოვი.** 26 სექტემბერი (რადიო). გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. კარახანმა 24 სექტემბერს გაუგზავნა ნოტა საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, სამხრეთსლავიას, ბოლგარეთს, რუმინეთს, საბერძნეთს და ეგვიპტეს. ნოტაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მთავრობა აქცევს ყურადღებას სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში და იმას, რომ ევროპის სახელმწიფოები არ სდგამენ სათანადო ნაბიჯებს მომავალ ომიანობის შესაძლებლობის გამოსააშკარავებლად.

რუსეთის მთავრობა აღიარებს, რომ ძირითად საკითხს წარმოადგენს ოსმალეთის ხალხის უფლებას და სუვერენიტეტის ფაქტიური ცნობა ოსმალეთის ადგილებზე, სტამბოლზე და სრუტეებზე ევროპის სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი, უარს ამბობენ დაუბრუნონ ოსმალეთს მისი უდაო ადგილები და სრუტეები, რათა განამტკიცონ თავისი მომავალი ბატონობა იქ. სრუტეების თავისუფლება აუცილებელია ყველა შავი ზღვის (გამოტოვებულია)... ოსმალეთმა ჯერ კიდევ 1920 წ. იცნო სრუტეების თავისუფლება მშვიდობიანი ვაჭრობისა და ტრანსპორტისათვის.

რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის ხელშეკრულებაში სრუტეების თავისუფლება ვაჭრობისათვის დამტკიცებულ იქნა რუსეთის მიერ, ხოლო ევროპის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც შეეხებიან სრუტეებს, სრულებით არ სცნობენ რუსეთის ინტერესებს. ოსმალეთი აღიარებულია მხოლოდ მოლაპარაკების ობიექტად სახელმწიფოთა შორის.

რუსეთის მთავრობამ კატეგორიულად პროტესტი უნდა განაცხადოს რუსეთის და მის მოსაზღვრე რესპუბლიკების უფლებათა უზურპაციის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოების მიერ.

რუსეთი, უკრაინა და საქართველო ოსმალეთის შემდეგ ყველაზე უფრო დაინტერესებული არიან სრუტეების თავისუფლებაში. ანტანტის ევროპის სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ გადაეცათ რუსეთისათვის სრუტეები და სტამბოლი.

რუსეთის მთავრობას არ სურს, რომ რუსეთის ინტერესებისათვის დაიჩაგროს ოსმალეთის ხალხის ნაწილი. მან ამისთვის გააუქმა მეფის მთავრობის ხელშეკრულებანი. საბჭოთა მთავრობა იმეორებს თავის წინანდელ განცხადებებს, რომ რუსეთი არ იცნობს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც იქნებიან მიღებული მის მონაწილეობის გარეშე და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

რუსეთი აფრთხილებს ევროპის სახელმწიფოებს არ განმეორდეს ის შეცდომები, რომლებიც იყვნენ გამოწვეული დაინტერესებულ სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებისადმი უყურადღებობით. ყოველივე გადაწყვეტილება სრუტეების შესახებ, მიღებული რუსეთის გარეშე, შექმნის მხოლოდ ნიადაგს ახალი კონფლიქტებისათვის. სრუტეების თავისუფლება, რომელსაც აღიარებს ინგლისი, წარმოადგენს მუქარას რუსეთის და ოსმალეთის ინტერესებისათვის. ინგლისს სურს ჩაითრიოს ომში ოსმალეთთან ერთად მთელი რიგი (დამახინჯებულია)... რათა დაიფაროს ევროპა ოსმალეთის თავდასხმისაგან. ასეთი მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულად. ოსმალეთის სატახტო ქალაქის ოსმალეთის ხალხისაგან დაცვა ინგლისის მიერ, წარმოადგენს პრეტენზიას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ დიდი გაკვირვება. ნეიტრალური ზონის დაცვა წარმოადგენს ოსმალეთის სუვერენიტეტი დარღვევას.

რუსეთის მთავრობა აღიარებს, რომ ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოების ცდას, აწარმოვონ მოლაპარაკება დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობის გარეშე, არ შეუძლია მოსალოდნელ ომის საშიშროების თავიდან აშორება. რუსეთი წინადადებას იძლევა დაუყონებლივ მოწვეულ იქნეს კონფერენცია ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებისა, პირველ რიგში კი შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოების. რუსეთის მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ მის ხმას გამოეხმაურება ყველა, ვისაც სურს ნამდვილი მშვიდობიანობა, დამყარებული მხარეების სრულ უფლებიანობაზე და ოსმალეთის სუვერენიტეტის აღიარებაზე.

### რუსეთი და კონფერენცია.

**მოსკოვი,** 26 სექტ. მომავალ კონფერენციაზე რუსეთის მონაწილეობის წინააღმდეგი არიან ფრანგები. კონფერენციას მეტად ძნელი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, ვინაიდან ის იქნება ერთის მხრივ ოსმალეთის და მეორეს მხრივ მცირე ანტანტის შორის.

„მანჩესტერ გარდიანი“ იტყობინება, რომ საკითხი კონფერენციაზე რუსეთის მონაწილეობის შესახებ ლონდონში დიდ ყურადღებას იპყრობს. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი სასურველად სთვლის რუსეთის კონფერენციაზე მონაწილეობას. გაზეთი აცხადებს, რომ უაზრობა და უსამართლობა იქნებოდა მოლაპარაკების დროს რუსეთის თვალსაზრისის უყურადღებოდ დატოვება.

### იტალია და კონფერენცია

**მოსკოვი.** 26 სექტემბერი. მოისმინა რა პარიზის მოლაპარაკების შედეგების შესახებ იტალიის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა დიდ ხნებით მოითხოვოს კონფერენციის ვენეციაში გამართვა. ამის გარდა მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა აიძულოს ინგლისი, რათა უკანასკნელი შეუდგეს სევრის ხელშეკრულების გადასინჯვას და ყოველივე ზომები იქნეს ხმარებული მოკავშირეთა შორის მეგობრულ დამოკიდებულების შენარჩუნებისათვის, და აგრეთვე მოითხოვოს იტალიისათვის სრული თავისუფლება ანგორასთან პოლიტიკურ და სავაჭრო დამოკიდებულების განახლების დროს.

### ანტანტის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის სამი ვეშაპი

**კროიდონი.** 25 სექტ. ლონდონში სრულიად კმაყოფილი არიან მით, რომ საფრანგეთმა და იტალიამ საერთო ნოტაში გამოააშკარავეს, რომ ისინი მისაღებათ სთვლიან სამ კოორდინარულ პრინციპს, რომლებსაც ინგლისის პოლიტიკა მუდმივად მხარს უჭერს. ეს საკითხებია: პირველი—სრუტეების თავისუფლება და ნეიტრალური ზონების ხელუხლებლობა, რაც უზრუნველყოფს ამ თავისუფლებას; მეორე—არავითარი შეიარაღებული შემოსევა მცირე აზიიდან ევროპაში და მესამე—ერთნაირი დაცვა სხვადასხვა უმცირესობათა. ულტიმატიურ დადგენილებაში ნაგულისხმევია, რომ საფრანგეთი მიმართავს ქემალ ფაშას მოთხოვნილებით არ გადადგას არავითარი ნაბიჯი საფრანგეთის სპეციალურ კომისრების მისვლამდე. შემდეგი ნაბიჯები დამოკიდებულია ქემალ ფაშისაგან.

### ინგლისის პოზიცია

**კროიდონი.** 25 სექტ. ინგლისის მთავრობა თანახმაა წავიდეს დათმობაზე და დაიცვას კონფერენციაზე მიუდგომლობა ფრაკიის საკითხში და სხვა ადგილების პრობლემების გადაწყვეტაში.

ინგლისის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ეს საკითხები არ უნდა იქნან გადაწყვეტილი იარაღის საშუალებით; მათი გადაწყვეტა შესაძლებელია კონფერენციაზე, სადაც წარდგენილი იქნებიან ყველა დაინტერესებული მხარეები.

ასეთი კონფერენციის მოწვევის წინადადება შეიტანა ლორდ კერზონმა და მიღებულ იქნა მოკავშირეების მიერ. მრავალჯერ იყო ცნობა, რომ ქემალს გაუძნელდება შეაჩეროს მომხრეები დ. ნეიტრალური ზონის საზღვრის გადალახვისაგან. თუ კი ეს მოსაზრება გამართლდა, პასუხისმგებლობა დააწვება იმათ, ვინც ბევრს ლაპარაკობს ნეიტრალურ ზონიდან ჯარების გაყვანის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ინგლისის ჯარები უზრუნველყოფენ სრუტეების თავისუფლებას. რაც შეეხება ახლო-აღმოსავლეთის საკითხების გადაწყვეტას, რომელნიც ერთა ლიგის ყრილობის წინაშე დგანან, აქ ინგლისი დიდი სიამოვნებით ხელს შეუწყობს ერთა ლიგას აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტაში.

### ერთიანი ოსმალეთის დელეგაცია

**ბორდო** 25 სექტემბერი. სტამბოლში მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებმა დიდ ვეზირს და ანგორის წარმომადგენელს გადასცეს ნოტა, რომელშიაც წინადადებას აძლევენ მათ გაგზავნონ ერთი დელეგაცია საზავო კონფერენციაზე.

**ბორდო.** 25 სექტემბერი. „პტი-პარიზიენი,“ უკეთებს რა კომენტარიებს მოკავშირეთა წინადადებას ერთი დელეგაციის კონფერენციაზე ოსმალეთის მიერ გაგზავნის შესახებ, შენიშნავს: „ამ ფორმულით გამოსთქვამენ სურვილს, რომ მოკავშირეთ უნდათ საქმე იქონიონ ერთ ოსმალეთის დელეგაციასთან და შეთანხმების წინადადებას აძლევენ ანგორას და სტამბოლს.

### ქემალ ფაშის მოთხოვნილებანი

**ნაუენი.** 26 სექტემბერი. „დეილი მეილის“ ცნობით ქემალ ფაშა მოითხოვს, რომ მის მოთხოვნილებებთან ერთად შესრულებულ იქნეს რუსეთის მოთხოვნილებაც.

### არეულობა სოფიაში

**ჰანოვერი.** 25 სექტემბერი. „ჩიკაგო ტრიბუნი“ იტყობინება კონსტანტინოპოლიდან რომ პარასკევს და შაბათს სოფიაში მთავრობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მომხდარ შეტაკებების გამო გამოცხადებულია საალყო წესები. შეტაკებებში მოკლულია 50 და დაჭრილია 100 მდე კაცი, მათ შორის ბევრია პარტიების ლიდერები და წარმომადგენლები.

### ჩანაკასთან

**ბორდო.** 25 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ოსმალეთის კავალერია გუშინ შეიჭრა ნეიტრალურ ზონაში ჩანაკასთან. გაიმართა მოლაპარაკება ინგლისის ჯარების სარდალთან, ფიქრობენ, რომ ოსმალეთის ნაწილი უკან გაყვანილი იქნებიან.

**ოსმალეთის ცხენოსანმა ჯარმა გადალახა ნეიტრალური ზონა.**

**კროიდან** 26 სექტემბერი. ღამით მიღებულია სტამბოლიდან დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ ოსმალეთის ცხენოსანმა ჯარმა ტყვიის მფრქვეველებით კვლავ გადალახა ნეიტრალური ზონის საზღვრები. ხერ ჩარლს მარინგტონმა დეპეშით აცნობა ქემალ ფაშას გაიყვანოს ეს ძალები.

**მესოპოტამიაში.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. სამხრეთ მესოპოტამიაში აჯანყებამ საზოგადო ხასიათი მიიღო: ინგლისის ჯარები საევაკუაციოდ ემზადებიან.

მთელ სპარსეთში ვითარდება ძლიერი საპროტესტო მოძრაობა ინგლისის ძალადობაზე დამყარებულ პოლიტიკის წინააღმდეგ მესოპოტამიაში.

**რომი.** 25 სექტ. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით, მესოპოტამიაში დიდი შეტაკებებია ინგლისელებსა და მკვიდრთ შორის. ამასწინეთ ადგილობრივ მცხოვრებლებმა ტყვეთ ჩაიგდეს ინგლისის ჯარების ნაწილი ხუთასი ჯარისკაცისაგან და ერთი ოფიცრისაგან შემდგარი.

**ბორდო.** 26 სექტ. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის კავალერია, რომელმაც გუშინ დაიხია ერენკეიდან (ნეიტრალური ზონა), დღეს დილით, დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ, საერთო ძალით 2.000 კაცამდე დაბრუნდა ერენკეახთან. ინგლისის რაზმმა დატოვა ჩანაკა, რათა დაიჭიროს პოზიცია ერენკეის და ჩანაკის შუა გზაზე.

**ინდოეთში.**

**ბორდო.** 26 სექტ. „ტაიმსის“ კორესპონდენტი იტყობინება ბომბეიდან, რომ ყველა პარტიებში დიდი მღელვარებაა ახლო აღმოსავლეთის ამბების გამო.

**ქემალ ფაშას განცხადება.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. ქემალ ფაშამ უპასუხა მოკავშირეებს, რომ მას არ შეუძლია შეაჩეროს არმიის მისწრაფება, რომელსაც სურს ანატოლიის განთავისუფლება. სკუტართან მიხწევის შემდეგ, ქემალი პირობას იძლევა, რომ პირადათ აწარმოებს მოლაპარაკებას.

**ანგორის კ**

მოსკოვი ანგორის
ერობამ გამოუშვა მოწოდება
ტანტინოპოლის მუშების მიმ
რომელშიაც მათ ურჩევს სულთ
ჩამოვიდნენ, ოკუპანტების კონს
ტინოპოლიდან გარეკვა და საც
ლურ არმიისათვის მხარის დაჭ

**ქემალის დიქტატორული უფლებ**

**მოსკოვი.** 26 სექტ. ანგორის
ვნულმა კრებამ მიანიჭა ქემალს
მატებითი დიქტატორული უფლებ
ომის განგრძობისათვის.

**ოსმალეთის ნაციონალისტები.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. ოსმალეთის
ციონალისტები ემზადებიან ინ
სისათვის ომის გამოსაცხადებლად.

**ქემალ ფაშის გეგმა.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. საფრანგე
უმაღლეს კომისარს პელეს საუბ
ჰქონდა ქემალთან, რომელმაც გა
ცხადა, რომ ოსმალეთი 10
განმავლობაში თავს შეიკავებს
ტეებზე გადასვლაზე. პელემ გა
ტანა შთაბეჭდილება, რომ
გადასწყვეტენ თუ საერთოდ
თხოვს მიმართონ იარაღს,
კონსტანტინოპოლი ზამთრამდე
იგდონ.

**გემების მოძრაობა.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. გემების
ველგვარი მოძრაობა სტამბ
შავი და მარმარილოს ზღვებს შ
შეწყვეტილია. ინგლისის სამხ
გემებს ნაბრძანები აქვთ სროლა
ტეხონ გემებს, რომლებიც დაარ
ვენ ამ დადგენილებას.

**ათინაში.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. ათინაში
მოჩენილია შეთქმულობა მთავ
წინააღმდეგ. დაპატიმრებულია შეთქ
ხელმძღვანელი — სამხედრო
მოელიან ახალ დაპ

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**კონფერენცია**

**მოსკოვი.** 26 სექტემბერი. გაიხსნა სრულიად რუსეთის კონფერენცია მცირე წლოვან მუშების განათლების ორგანიზაციის მოსაწყობად. მოსმენილია პირველი მოხსენება მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ.

**პროკურატურა.**

**მოსკოვი.** 26 სექტემბერი. იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ დაინიშნა 54 პროკურორი და 200 მისი თანაშემწე. მუშავდება სახელმძღვანელო წითელ პროკურორებისათვის.

**ჩინეთის მუშების მისალმება**

**მოსკოვი,** 26 სექტ. ჩინეთის მუშათა აღმასრულებელ კომიტეტმა რუსეთში მისალმებით მიმართა პროფკავშირთა მე 5 ყრილობას.

**კომუნისტი ალიაში.**

**მოსკოვი** 25 სექტ. **კომუნისტმა ალიაშმა, რომელსაც სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა სამხრეთ-სლავიის მთავრობამ, მიმართა უკანასკნელ თხოვნით თავის დამცველს, რათა მისი ტანისამოსი გადაეცეს დამშეულთა დამხმარე მუშათა საერთაშორისო კომიტეტს საბავშვო სახლისათვის რუსეთში.**

**დონის აუზისათვის სურსათ**

**მოსკოვი,** 23 სექტ. დონის აუ
სურსათის მიწოდება გრძელდება
კი რაიმე დამაბრკოლებელი მი
არ ექნება ადგილი, ნოემბერში
მარაგებულია 2 თვის საყოფი სურ
თი. მუშების მიერ სამუშაოს და
ვება შეწყდა. აგვისტოში ირი
ბოდა 54.000 მუშა.

**სათბობ მასალის კრიზისი რკ გზებზე.**

**მოსკოვი,** 23 სექტ. სათბობ მასა
ლის კრიზისი რკინის გზებზე იზ
ბა. ამ ჟამად რკინის გზები
ველგვარი სათბობ მასალით,
ლოდ (გამოტოვებულია).

**დამშეულთა დამხმარე უკრაინის ცენტრ. კომიტეტში.**

**მოსკოვი,** 23 სექტ. დამშე
დამხმარე უკრაინის ცენტრალურ
მიტეტის ცნობით ყველა უცხო
ორგანიზაციების ხარჯზე იმყოფ
2 მილიონი დამშეული.

**სასოფლო სამეურნეო გამოფ**

**მოსკოვი,** 23 სექტ. სრულიად
სეთის სასოფლო სამეურნეო გამო
ნის მოსაწყობად უკვე შეუდგნენ
ზადებას მუშაობას. გამოფენა
ჭერს 21 ნას. ათას კვ. საჟ.
ექსპონატების მიღება დაიწყება
ველი ოქტომბრიდან.

## ანტანტა და გერმანია

**ბელგია და გერმანია.**

**ბორდო.** 25 სექტ. გერმანიის ხაზინის 6 თვიანი ბონები, რომელიც უნდა გადაეცეს ბელგიას 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე გადასახადის სახით გადაეცა საკონტრიბუციო კომისიას, რომელიც დიუბუას თავმჯდომარეობით შეიკრიბება სამშაბათს საღამოთ. ბელგიის ფულ
გადასცემს ამ ბონებს ბელგის
ეროვნებს.

**საკონტრიბუციო კომისიაში.**

**პარიზი.** 25 სექტ. საკონტრ
ციო კომისიაში დიუბუას ნაც
ფერენიგის სინდიკატი
შენას. მოსალაპარაკებლად
კლერის გამოცვლა.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### გერმანიაში

**გერმანიის პარტიებში.**

**მოსკოვი** 26 სექტემბერი. დამოუკიდებელ სოც. დემოკრატების ყრილობამ გერმანიაში დიდი უმრავლესობით 9 კაცის წინააღმდეგ გამოიტანა დადგენილება ორივე სოციალისტური პარტიების გაერთიანების შესახებ.

### ინგლისი

**გაფიცვები ანგლიაში.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. ინგლისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის საკითხი მწვავედ დგას. შესაძლებელია, მომავალ კვირაში გაიფიცოს 100.000 კაცი.

### შვეციაში

**შვეციის კომუნისტური პარტიის მანიფესტი.**

**მოსკოვი** 26 სექტ. შვეციის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება ყველა მუშების მიმართ იბრძოლონ ერთიანი ფრონტისათვის და 8 საათის სამუშაო დღისათვის, რომლის წინააღმდეგ იბრძვის გაერთიანებული ბურჟუაზია.

**ბრძოლა 8 საათის სამუშაო დ თვის.**

**პარიზი,** 25 სექტ. პარიზში
დგა მრავალრიცხოვანი საპროტ
კრებები საერთო ოლქში 8 ს
სამუშაო დღის გაუქმების წი
დეგ.

### ირლანდიაში

**მოსკოვი.** 26 სექტ. ირლ
ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობ
რეთა გაფიცვები გრძელდება.

### ინდოეთი

**აუცილებელი შედეგი.**

**ვარშავა.** გაზეთ „რეჩ პოს
ტას“ ლონდონიდან იუწყებიან
ლოიდ ჯორჯმა, ინდოეთში
რომის შესახებ შეკითხვებ
პალატაში განაცხადა, რომ ინ
ში მართვა გამჯობინი საქმე
დაბრკოლებები ელოდება, მაგ
აუცილებელი შედეგი სკოლ
განათლების გავრცელებით
ჯორჯის განცხადებით,
მოძრაობები, რომლებიც
აქვთ მ. ოლოიში,
ლობ ინდოეთში.

# სასურსათო გადასახადის კამპანია

## სულ რამდენია აკრეფილი?

**სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს ათს მაზრაში, სადაც სასურსათო გადასახადის შეგროვება სწარმოებს, სექტემბრის 25-სთვის ხორბლეულის ერთეულით შეგროვილია 292.051 ფუთი, ანუ 49,9 პროცენტი შეწერილ გადასახადისა.**

### კამპანიის მსვლელობა

**სიღნაღის მაზრა.** როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი იტყობინება, მაზრაში სასურსათო გადასახადის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს. საერთოდ მთელს მაზრას გადახდილი აქვს შეწერილ გადასახადის 71,7 პროცენტი. მთელი 100 პროცენტი გადახდილი აქვთ შემდეგს თემებს: ნუკრიანისა, ზემო მაჩხაანისა, ქვემო მაჩხაანისა, ტიბაანისა, ბოდბისა, ძველი ანაგისა, წითელ წყაროსი და ზემო ქედისა, სულ რვა თემს;

სექტემბრის 18 მდე შეგროვილია: ხორბალი—65.330 ფ., ქერი—2,880 ფ., ლობიო—3920 ფ., ფეტვი—401 ფ., სიმინდი—460 ფუთი და ფულად 8.275 000 მან.

ხორბლეულის ერთეულით სულ შეგროვილია 71.740 ფ.

# ქრონიკა

◆ **მარგანეცის ექსპორტი საზოგ.** „ჩემოს" ფოთის სააგენტოს ცნობით 20 სექტემბერს გავიდა გემი „ბენალდერი" 7378 ტონა შავი ქვით დატვირთული.

ამ ჟამად მთავრდება გემი „გარდენიის" დატვირთვა და მხოლოდ დაიწყეს დატვირთვა გემის „ეჯიპშანისა" 18 სექტემბერს და გემი „კონეჯოს" 21 სექტემბერს.

ეს სამი გემი წაიღებენ 13.000 ტონა შავ ქვას.

◆ **ექსპორტი აგვისტოს განმავლობაში** აგვისტოს განმავლობაში ფოთის ნავსადგურიდან გატანილია 21132 ტონა შავი ქვა.

◆ **ქვანახშირის ამოღება.** ტყიბულის შრომის მრეწველობის გამგეობის ცნობების თანახმად ტყიბულის მაღაროებში აგვისტოსთვის პირველ ნახევარში ამოღებულია 536.1229— მეორე ნახევარში 563.760 ქვა ნახშირი.

◆ **ზოოლოგიური და ბოტანიკური ატლასები.** აღზრდის მთავარ სამმართველოს სალიტერატურო სამხატვრო სექციამ შეიმუშავა პროექტი ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ატლასების გამოცემისა, რომელნიც იქნებიან დაბეჭდილი ფერადი საღებავებით.

### ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

**სამეცნიერო ექსპედიცია ბახმაროში.** სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა 169 მილ. 95.000 მანეთის გაღების შესახებ, ბახმაროში სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნად.

◆ **ხიდების შეკეთება.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გზების საამშენებლო განყოფილების შუამდგომლობის გამო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა ხიდების გზატკეცილების მეორე, მესამე და მეოთხე დისტანციის შეკეთების საწარმოებლად საჭირო თანხების 940 მილ. მანეთის რაოდენობით და წინადადება მისცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცეს მას აღნიშნული თანხა ორი თვის განმავლობაში, დაწყებული 1922 წ. 1 ოქტომბრიდან.

◆ **უფასო ტელეფონით სარგებლობა.** საქართველოს ცენტრალ. აღმასკომის შუამდგომლობის გამო, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს უფლება ყველა სამაზრო და თემების აღმასკომებს ადგილობრივ ისარგებლონ ტელეფონებით უფასოდ, მხოლოდ განსაკუთრებულ სასწრაფო და მნიშვნელოვან საქმეების გამო.

◆ **ცენტრალურ თესვის კომიტეტის შტატები.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულია მიწად მოქმედების სახალხო კომისრის მიერ წარდგენილი ცენტრალურ თესვის კომიტეტის და აგრონომიულ დახმარების განყოფილების შემოსავალ გასავალის ხარჯთაღრიცხვა 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე. ამას გარდა დამტკიცებულია ცენტრალური თესვის კომიტეტის შტატები 120 კაცის შემადგენლობით.

◆ **საბაჟო პუნქტების გახსნა.** ფინანსთა სახალხო კომისარის მოხსენებით, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გახსნას საბაჟო პუნქტები ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში. ახალი პუნქტები გაიხსნება სოფ ბულსა და ორჯობანში.

◆ **მუშათა ფაკულტეტების შენახვა.** განათლების სახალხო კომისარის მოხსენების გამო, მუშათა ფაკულტეტების სახელმწიფო უნივერსიტეტთან და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან ერთად შენახვის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადასცეს განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში 300,000,000 მან. მუშათა ფაკულტეტების სასწრაფო მოთხოვნილებისათვის, ხოლო ხარჯთ-აღრიცხვა აღნიშნულ ფაკულტეტების 250 კაცის შესანახად თვითეულში და ამავე ფაკულტეტებში ინტერნატის 100 კაც. შემადგენლობისა გადაეცეს საუწყებათაშორისო ხარჯთაღრიცხვის თათბირს სასწრაფო დასკვნისათვის.

◆ **კრედიტი ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.** საუწყებათაშორისო—ხარჯთაღრიცხვის თათბირის დასკვნის თანახმად, ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს მიეცა დამატებითი კრედიტი 1922 წლისათვის 54,388,804,000 მანეთის რაოდენობით.

◆ **საფუთო გადასახადი ბათომის სასარგებლოდ.** ბათომის აღმასკომის შუამდგომლობა, ბათომში გატარებულ ტვირთებზე ფუთობრივ გადასახადის შემოღების შესახებ, გადაეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასკვნისათვის.

◆ **თბილისის საბაჟოს შტატი.** ფინანსთა სახალხო კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, თბილისის საბაჟოს შტატის 13 კაცით გადიდების შესახებ. ეს შუამდგომლობა გადაეცა წინასწარ დასკვნისათვის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საშტატო კომისიას.

— **სასოფლო-მეურნეობის სასწავლებლები.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის ყველა სასოფლო მეურნეობის სასწავლებლები გადაეცა მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს და წინადადება მიეცა გამომუშავებულ იქნეს განსაკუთრებული დებულება სასოფლო-მეურნეობის სასწავლებლების მმართველობის შესახებ და წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

— **დადგენილება.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულია დადგენილება იმ ქონების შეფასების წესის შესახებ, რომელიც ჩამორთმეულია აუნაზღაურებლად.

# ხელოვნება

— **ქართული წარმოდგენების რიცხვი რუსთაველის თეატრში.** მიმდინარე სეზონში რუსთაველის თეატრში განზრახულია ოთხი ქართული წარმოდგენების გამართვა კვირაში, ერთი დღე დაეთმობა სომხურ დასს და ერთიც თათრულს.

— **სახელმწიფო პატარა თეატრი.** რუსული დრამა მიმდინარე სეზონში იმუშავებს სახელმწიფო პატარა თეატრში. დასი უკვე შეუდგა რეპეტიციებს. განახლებულია რეპერტუარი და მოწვეულია ცნობილი რეჟისორები. სხვათა შორის რამდენიმე პიესას დადგმა მინდობილი აქვს კ. მარჯანიშვილს.

— **ბათომის ქართული აკადემიური თეატრი.** ბათომის ქართული აკადემიური თეატრის, მიმდინარე სეზონისათვის გათვალისწინებული ხარჯები, მთავრობამ დაამტკიცა. სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს.

— **ქართული თეატრი ბაქოში.** ბაქოში წელს სისტემატიურად დაიდგმება ქართული წარმოდგენები, რისთვისაც ქართული თეატრის ხელმძღვანელმა კომიტეტმა თფილისიდან გაიწვია მსახიობები მარგარიტა ქალარჯიშვილი და გ. ფრონისპირელი.

— **საბავშვო გამომცემლობა.** განათლების კომისარიატთან არსებული სამხატვრო-სალიტერატურო საბავშო გამომცემლობის სექციამ გამოსცა ოთხი № საბავშო ჟურნალი „ნაკადულის" და სამი № „ჯეჯილის", საბავშო ლექსებ გიორგი ქუჩიშვილის; „ტროიას ომი" ა. მიქაბერიძის; „ტყის ზღაპარი" მამინასიბირიაკოვის, თარგ. ქართულ ენაზე და „ზღაპარი—დედაბერი და მელია".

ამავე სექციამ სპეციალისტების მონაწილეობით გამოიმუშავა პროექტი „საბავშო თეატრის", აგრეთვე გამომუშავებულია პროექტი „ზოოლოგიური" და „ბოტანიკური ატლასის", რომელიც დაბეჭდილი იქნება ლიტოგრაფიაში ფერადი საღებავებით.

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა შემდეგი საბავშო წიგნები „გაგ-არაკი" ალ. მირიანაშვილის, „ივანე რეგვენი"—ზღაპარი ტოლსტოის თარგმანი ქართულად. საბავშო პიესების კრებული, „ჭიანჭველას საკვირველი ბედი" ვორცოვის, „ლურჯი ფრინველი"—მეტერლინკის, თარგმანი ჯაბადარის, და „ტყის სურათი"—შიო მღვიმელის.

### დღეს თეატრებში.

— ქართული კლუბი—სეირნობა-კონცერტი.

— თეატრი არტის საზაფხულო ბაღი—კონცერტი-კაბარე.

— საზაფხულო წრე—საოჯახო-საცეკვაო საღამო.

— სომხური თეატრი—წარმოდგენა.

— ახალი კლუბი—(ყოფილი არვლეკინი) საბავშო სეირნობა.

— მუშათა ცენტრალური კლუბი—კონცერტი.

— ახალი თეატრი მ. ც. ქ. კინო.

— თეატრი მუშტაიდი—წარმოდგენა.

# სტატისტიკოსების სრულიად რუსეთის ყრილობა

(საუბარი ამხ. ა. რუხაძესთან)

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს, სტატისტიკოსების სრულიად რუსეთის ყრილობის საქართველოს სტატისტიკისათვის მნიშვნელობის შესახებ, ამ ყრილობაზე მიმავალმა ქალაქის სტატისტიკური განყოფილების გამგემ ამხ. ა. რუხაძემ სთქვა შემდეგი:

ყრილობის მუშაობის პროგრამისათვის ერთი თვალის გადავლებითაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ყრილობას აქვს დიდი მნიშვნელობა. დღის წესრიგში სდგას 22 საკითხი, უმთავრესად მეთოდოლოგიური ხასიათის, რასაც საქართველოს სტატისტიკისათვის, რომელიც ახალი ლიტერატურის უქონლობის გამო ჩამორჩენილია ამ სფეროში ახალ მეთოდებიდან, ექნება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა.

ყრილობის პროგრამაში შედიან საკითხები სახალხო მეურნეობის და მრეწველობის დინამიკის შესწავლის მეთოდების შესახებ; მცხოვრებლების გადასახადის უნარიანობის გამორკვევა, არსებულ საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებით და სხვა.

ამას გარდა დღის წესრიგში შედის საკითხი, საბჭოთა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე მეთოდების და აღწერის ვადის გაერთიანების შესახებ.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განზრახული აქვს ყრილობის მუშაობის მასალების მიღების შემდეგ მოიწვიოს საქართველოს სტატისტიკოსების ყრილობა, სადაც გააკეთებს დაწვრილებით მოხსენებას სრულიად რუსეთის ყრილობის მუშაობის შესახებ.

რაც შეეხება მასალებს, რომლებიც ჩვენ მიგვაქვს თან ყრილობაზე, ამ ჟამად მთავრდება მოხსენება საქართველოს სტატისტიკურ ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ, მოხსენება ამოკრეფილია საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა მომავალ აღწერიდან, დემოგრაფიის მასალებიდან, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობიდან.

# პარტიული ცხოვრება

პარტიის უმაღლეს ორგანოს დადგენილებით, გენერალური ხელახალი რეგისტრაციის, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა შემოწმების და გაწმენდის შესახებ,

## ცენტრალურ შემმოწმებელი კომისია

კორომჩენკოს თავმჯდომარეობით და წევრთა ამხ. თოდრიას და სტურუას შემადგენლობით იწყებს რა საპასუხისმგებლო და რთულ მუშაობას,—მიმართავს პარტიის წევრებს და უპარტიო ამხანაგებს, რომელთათვისაც ძვირფასია მმართველი პარტიის ძლიერება და მუშურ გლეხური ხელისუფლების აყვავება—დაეხმარონ ცენტრალურ კომისიას მის რთულ მუშაობაში მასალების მიწოდებით, პარტიის როგორც უბრალო წევრთა ისე პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედების და შეუფერებელ მოქმედებათა შესახებ.

კომისიისადმი ყოველი მიმართვა და პარტიის წევრთა წინაამდეგ საბრალმდებლო მასალები უნდა იყოს წარმომდგენის მიერ ხელმოწერილი, ხოლო ცენტრალური კომისია იძლევა გარანტიას საიდუმლოდ შეინახოს მასალის მიმწოდებლის ვინაობა.

ყველა ამხანაგებს, პარტიულებს და უპარტიოებს, რომელნიც გამოდიან საზოგადო კრებებზე გაწმენდის დროს ამა თუ იმ წევრის ბოროტმოქმედებათა გამოსამჟღავნებლად, მიუხედავად მისი მდგომარეობისა სამსახურში, კომისია აძლევს გარანტიას დაცულ იქნეს მათი სრული ხელშეუხებლობა.

ცენტრალურ შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე: კორომჩენკო.
წევრები: თოდრია, სტურუა.

**მისამართი:** რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, პეტრე დიდის ქ. № 8, ოთახი 8.

---

ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება

## თბილისის კომიტეტის
## პლენუმის სხდომა

სავალდებულოა ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

2—1 თბილისის კომიტეტის მდივანი: კახიანი.

---

**საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი**
წინადადებას იძლევა პარასკევს, 29 სექტემბერს,

## ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში:

1) ბაქოს კომუნის დაღუპვა და 26. 2) პარტიის გაწმენდა.

როგორც მასალები ისარგებლონ: პირველი საკითხისათვის: „ბაკინსკი რაბოჩის" საიუბილეო ნომრით 20 ოქტომბრიდან (შეიძლება შეძენა თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო საგიტაციო განყოფილებაში 25,000 მანეთად); მეორე საკითხისათვის—ბროშიურით „მეტი ყურადღება პარტიას" და გაზეთ „ზარია ვასტოკით" 26 სექტემბერი № 83.

(3—1) თბ. კომიტ. მდივანი: კახიანი.

---

## საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

წინადადებას აძლევს კომუნისტ-სტუდენტებს სამი დღის განმავლობაში გატარდნენ რეგისტრაციაში მეოთხე რაიკომის სააღრიცხო სტატისტიკურ განყოფილებაში (გოლოვ. პროსპ. 32).

(3—2) რაიკომის მდივანი: ამახი.

---

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე 3 რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს 27 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მე 3 რაიკომის ბინაზე (კახეთის ქ. № 1) გაიმართება

მე-3 რაიონის პარტიის წევრთა და კანდიდატთა

## საერთო კრება

კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის და სამხედრო სამსახურში მყოფ კომუნისტების თანდასწრებით.

**დღის წესრიგი:**

1) ამხ. ელიავას მოხსენება—ოსმალეთ საბერძნეთის ომი და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა აღმოსავლეთში, 2) მიმდინარე საქმეები.

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

(2—2) მე 3 რაიკომის მდივანის მოადგილე: ვარტაპეტიანი.

# მუშათა ცხოვრება

## საქ. რკინის გზების არტელის „კომუნას" 2-რე ყრილობა

დღეს, 27 სექტემბერს ქალ. თბილისში გაიხსნება ყრილობა საქ. რკინის გზებზედ არსებულ მშრომელთა არტელ „კომუნასი". მის დღის წესრიგში დგას შემდეგი. საკითხები:

1. რკინის გზის პროფკავშირში შესვლა.
2. მოხსენება ცენტრალური გამგეობის.
3. მოხსენება ადგილებიდან.
4. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.

ყველა ეს საკითხები არტელისათვის ფრიად სერიოზული და საყურადღებოა და ყრილობამაც მას სათანადო პასუხი უნდა გასცეს. ექვსი თვის არსებობის ისტორია აქვს რკინის გზის არტელს და თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მან შესძლო მაზედ დაკისრებული მოვალეობის შესრულება პირნათლათ. და ეხლა საკითხი დგება არტელის პროფესიონალურ კავშირში შესვლის შესახებ. ცენტრალურმა პროფკავშირების ორგანოებმა პრინციპიალურათ მიიღეს არტელების კავშირში მიღება, მხოლოდ არტელის წესდების გადასასინჯავათ გამოყო კომისია, რომელიც დღეს თუ არა ხვალ დაამთავრებს მუშაობას, და არტელის ყრილობას წარუდგენს, თუ როგორ შეიძლება არტელის მიღება პროფკავშირში. ამ საკითხზედ ერთი რამ წინასწარ შეიძლება ითქვას: თავისთავათ ცხადია, ნაწილი წესდებისა შეიცვლება, მაგრამ მისი მიღება ყრილობის მიერ აუცილებელია, რადგან პრაქტიკამ დაგვანახა ჩვენ, რომ ყოვლად შეუძლებელია 1200 მუშის არტელის წევრების პროფესიონალურ კავშირის გარეშე დარჩენა. მასთან უნდა ითქვას, რომ ამ არტელის მოქმედება და არსებობა ვერ იყო გარკვეული ორგანიზაციებისათვის, არ იცოდენ თუ რას აკეთებდა ეს არტელი აღმშენებლობითი სფეროში, და დღევანდელმა ყრილობამ ყველას უნდა გააგებიოს, თუ რა გაუკეთებია ექვსი თვის განმავლობაში. რკინის გზის არტელის რკინის გზის ტრანსპორტის სასარგებლოთ.

მასთან ყრილობამ უნდა დააფასოს გამგეობის მოქმედება თუ უმოქმედობა და მომავლისათვის უნდა აირჩიოს ნამდვილი მუშური გამგეობა, რომელიც დაიჭერს მჭიდრო კავშირს მუშებთან და გაატარებს ყოველივე დირექტივებს პროფკავშირებისას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისას.

აბელი თოდრია.

## დამოუკიდებელ შრომის მატარებელ პირთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოება

საბჭოთა საქართველოს შრომის სახკომისარიატის კოლეგიამ ა. წ. 17 აგვისტოს დაამტკიცა დამოუკიდებელ შრომის მატარებელ პირთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების ნორმალური წესდება. ამა დადგენილებით საქართველოს მუშურ გლეხური მთავრობა მოუწოდებს ყველა ხელოსნებს, შინა მრეწველებს, ინტელიგენტურ დამოუკიდებელ პროფესიის მატარებელ პირებს, რომელნიც არ იწევიან სხვას, დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციას—აიღონ თავის თავის და თავის ოჯახის წევრთა უზრუნველყოფის საქმე თავის საკუთარ ხელში. მშრომელთა ეს ჯგუფი ჩვენს ნორჩ მრეწველობის პირობებში თამაშობს საკმაო თვალსაჩინო როლს მხარის საწარმოო ცხოვრებაში და თავის რიგებში, თავს უყრის ასი ათას პირს (მარტო თბილისში ისინი არიან არა ნაკლებ 30 ათასისა).

საზოგადოების წევრობა სავალდებულოა ყველა დამოუკიდებელ შრომის მატარებელ პირთათვის, რომელნიც ცხოვრობენ საზოგადოების მოქმედების რაიონში (§ 4 წესდების), და ამით მისაღწევი ხდება ამ ჯგუფის საერთო უზრუნველყოფა საზოგადოების მიერ.

საზოგადოება თავის მუშური შემადგენლობით ახლოს დგას მუშათა ორგანიზაციებთან, შეაქვს რა თავის გაფანტულ წრეში პროლეტარული და ამხანაგური სოლიდარობის სული და ურთი-ერთის დახმარების შეგნება გაჭირვების ყველა შემთხვევებში და მატერიალურ უბედურების დროს (დროებით ან მუდმივ შრომის უნარის დაკარგვის, უმუშევრობის, დაქვრივების და დაობლების, სიკვდილის, სტიქიურ და სოციალურ უბედურების ან სხვა გაჭირვების დროს—წესდების §). და ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ შრომის საკომისარიატოს ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურება წვრილი მუშაკები, შექმნიან თავის მძლავრ ორგანიზაციას თვითდახმარებისას და ამით ჩაყრიან ახალ სიმაგრეს მუშათა თვითმოქმედების და სახელმწიფოებრივობის საქმეში.

ნ. ათაბეგოვ ტუშახი.

## წერილი ქუთაისიდან

ამ რამდენიმე ხნის წინათ პოლიგრაფიულ წარმოების მუშებში დაარსდა ურთიერთ დამხმარე კასა. ასეთი კასის მოთხოვნილება და საჭიროება დღემდინაც მეტად დიდი იყო. ჩვენი დარგის მუშებს ხშირად უჭირთ და ასეთ გაჭირვების დროს არ იციან ვის მიმართონ. ამიტომაც ამ კასის დაარსება დროულათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ კასის მოღვაწეობა ნაყოფიერი იქნება. სასურველია კასამ რაც შეიძლება მოკლე ხანში დაიწყოს მუშაობა.

ე—რი.

## წერილი სიღნაღიდან

სიღნაღის მაზრაში მუშები და საბჭოთა მოსამსახურეები, დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიან. ამას ზედ ერთვის შრომის ხელფასის თავის დროზე მიუღებლობა. მაგალითად უკანასკნელი თვეების ხელფასი მუშა მოსამსახურეების მრავალ ადგილას არა აქვთ მიღებული. აუცილებლად საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. სიღნაღის აღმასკომს მართებს ამ საქმეზე ზრუნვა და მუშაობა.

მუშა ტიტაშვილი.

## სად. ხაშური

26 აგვისტოს აქ შესდგა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. მუშათა კლუბის გამგეობის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ხაჩიძემ. მოხსენება ძალზე სუსტი და უშინაარსო გამოდგა. აღსანიშნავია რომ ამ კლუბში თავი მოიყარეს მენშევიკებმა და მათმა დამქაშებმა. ეს ვაჟბატონები იწყოდენ სისტემატიურ საბოტაჟს, განზრახ არაფერს აკეთებდენ, რათა მუშებში სახელი გაეტეხათ ხელისუფლებისათვის. მათ ასეთ საბოტაჟს ყურადღება მიაქცია ხაშურის რაიკომმა. კრებაზე ძველი გამგეობა გადაყენებულ იქმნა და არჩეული ახალი. ვუსურვებთ ახალ გამგეობას მეტი ფხის გამოჩენას.

ხ—ო.

## წერილი რედაქციის მიმართ

### პასუხი

**მოქალაქე ვასო კვინტრაძეს და პირველ წერილის ავტორს.**

მოქალაქე ვასო, თქვენ კომუნისტში № ამახინჯებთ ფაქტებს. ბევრი თავის მართლება, რომ არ დავიწყო გეტყვით, რომ ჩემი მოსამსახურენი მუშაობენ ავტონომიურად და მათთან მუდამ ჩემი თხოვნაა, რომ ყოველივე პროფ. კავშირის დადგენილება ცხოვრებაში უცვლელად გაატარონ, ვინაიდგან მე საქმეებით დატვირთული ვარ, მათ ნებას ვაძლევ გამოართვან მოლარეს ფული და იყიდონ რაც საჭიროა მათი მუშაობის პირობების შესამსუბუქებლად. აგრეთვე შეიტანონ რასაც მოითხოვს კავშირი მაგათ უზრუნველ-საყოფლად. მუშაობს დღეში თითეული არა უმეტეს 7 საათისა (სეზონის გათავების შემდეგ კი 4—5 საათს). ნება აქვსთ მიცემული მოითხოვონ მომუშავენი პროფ. კავშირიდგან, თუ საჭიროდ დაინახავენ. რაც შეეხება იმ მოზარდს რომელსაც მე მართლაც აღელვებული ველაპარაკებოდი, უნდა მოგახსენოთ რომ იქ ალაგი არ ქონია არც მიფურთხებას და არც გაზეთის თავში დაფურთხებას, ამას დაადასტურებენ დამსწრე პროფკავშ. წევრები, ამასთანავე უნდა მოგახსენოთ მეზობელო ვასო, რომ კარგი იქნებოდა შენ თვალში დირეს ამოიღებდე და ჩემს თვალში ბეწვის ძებნას თავს დაანებებდე. რატომ გავიწყდება შენი თავხედობა, რასაც შენ სჩადიხარ მუშების (გაზეთების დამტარებლების) წინაშე. მე მყავს მოწმე სანდო და დამსახურებული კომუნისტი, სწორედ მე და ის შემთხვევით ვიყავით მოწმე, რომ მეგაზეთეებს ლანძღავდი და გაზეთები ქუჩაში გადმოუყარე, რაზედაც ის კომუნისტი ძლიერ აღელდა, მაგრამ ვინაიდგან ძლიერ ეჩქარებოდა თავი გაგანება, თუმც ზემომოყვანილ ფაქტს ვერ დაგიმტკიცებთ მე გადავიხდი ჯარიმას 10 მილიონს საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ, რომ არც რედაქცია გავაცდინოთ და არც ჩვენ გავცდეთ პასუხების წერით, გიწვევთ ამხანაგურ სასამართლოში. ჩემის მხრით ვასახელებ მედიატორედ ნიკო აბესაძეს. თქვენ ვინც გინდათ დაასახელეთ და, როგორც მეზობელს, შეგიძლიათ პირადათ მითხრათ მოქალაქე ვასილ. თქვენი ფსევდონიმი გავიგე მითი, რომ თქვენ თვით აღიარეთ, რომ მე თქვენ გამოგართვით გაზეთი.

დადგენილება იქნეს კომუნისტში გამოცხადებული.

დავით ქებაძე.

---

კვირას, 1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის ბინაზე (კირკის და კამოს ქუჩების კუთხეში) გაიმართება

## თათბირი

კოოპერაციის იმ მუშაკთა, რომელნიც გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტში.

**დღის წესრიგი:**

1) კოოპერატიული პოლიტიკა სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის თვალსაზრისით, 2) კოოპერატიული პოლიტიკა საქართველოში და პარტიის მომავალი ამოცანები. დასწრება ყველა ამხანაგებისა, კოოპერაციის მუშაკთა, რომელნიც ჩაეწერენ ტფილისის კომიტეტში სავალდებულოა.

(3—3) ტფილისის კომიტეტის მდივანი კახიანი.

---

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის

## სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომელნიც მიმაგრებული არიან იაჩეიკებთან, გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში და გაეცნონ მასალებს ბაქოს კომუნას და 26 კომუნარების შესახებ, ვინაიდან 29 სექტემბერს ერთიან პარტიულ დღეს იაჩეიკების სხდომაზე მათ უნდა გააკეთონ ვრცელი მოხსენება ამ თემაზე.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების
(3—2) გამგე—მ. ესხენი.

---

ოთხშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება

საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონის წევრთა და კანდიდატთა საზოგადო

## კრება

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება პარტიის გაწმენდის შესახებ, 2) კანდიდატების ნამდვილ წევრებათ ჩარიცხვა, 3) მიმდინარე საქმეები. ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

მე-4 რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: ამახი.

---

## ტყიბული

1922 წელს გაიხსნა ტყიბულის რაიონის პარტკონფერენცია, კონფერენციას დაესწრო 14 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. ძველი მაღაროებიდან 6, სად. ტყიბულიდან 2, ხრესილიდან 4 და კურსებიდან 2. (ერთი არ დასწრებია ძველი მაღაროდან).

კონფერენცია გახსნა რაიპარტკომის მდივანმა ამხ. პ. ტყაბლაძემ მისასალმებელი სიტყვით, დღის 12 საათზედ. შემდეგ ამხ. რ. ცირეკიძე ამბობს მისასალმებელ სიტყვას მუშათა პროფკავშირის სახელით.

ამხ. პ. ტყაბლაძე იძლევა წინადადებას, რათა არჩეულ იქნეს კონფერენციის პრეზიდიუმი. არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: პ. ტყაბლაძე, ი. ახობაძე და მ. მდივნიშვილი. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენცია ადასტურებს დღიურ წესრიგს, რის შემდეგაც ადგენს, რათა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები ქუთაისის სამპარტკომს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მიღებულ იქნა შეუცვლელად რეგლამენტი, წამოყენებული პრეზიდიუმის მიერ.

დღიური წესრიგი: 1. მოხსენება რაიკომის მუშაობაზედ, 2. მოხსენებები ადგილებიდან, 3. საბჭოთა აღმშენებლობა (განათლება, სასურსათო გადასახადი, კოოპერაცია და ადმინისტრაცია), 4. არჩევნები რაიკომის და სამაზრო პარტკონფერენციაზედ

დასასწრებ დელეგატებისა, 5. მიმდინარე კითხვები.

თავმჯდომარეობს ამხ. ი. ახობაძე, მდივნობს ამხ. გ. მდივნიშვილი. რაიპარტკომის მუშაობაზედ მოხსენებას აკეთებს ამხ. პოლ. ტყაბლაძე. მომხსენებელმა აღნიშნა რაიკომის მუშაობა ა. წ. 1 იანვრიდან დაწყებული დღემდე*) მოხსენების ირგვლივ კამათი არ გახსნილა და მიღებული იქნა ერთხმად რეზოლიუცია, რომლითაც კონფერენცია სცნობს დამაკმაყოფილებლად რაიკომის მუშაობას და უსურვებს ახალ კომიტეტს კიდევ უფრო მეტ ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას.

მოხსენებები ადგილებიდან: მალაროების იაჩეიკის მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ახობაძე; აღნიშნა, რომ წევრთა რიცხვი უდრის 32. იანვრიდან დაწყებული დღემდე არის მოწყობილი კრება 32. აქედან 4 საჯარო, 28 კი დახურული. მოხსენებები კეთდებოდა სხვა და სხვა თემებზე. ეხლა გავდივართ „პოლიტიკურ ანბანს", სამხედრო მეცადინეობა სასურველად მიმდინარეობს: შაბათობა მოეწყო 3. წერა კითხვის უცოდინარი არის 1, რომელიც ახლო მომავალში შეისწავლის წერა-კითხვას.

დაბა (სად.) ტყიბულის იაჩეიკიდან მოხსენებას აკეთებს ამხ ალ. ასათიანი. წევრთა რიცხვი უდრის გაწმენდის შემდეგ 7. კრებები მოხდა სულ 25. აქედან 4 კომკავშირის იაჩეიკასთან შეერთებული. მოხსენებები კეთდებოდა სხვა და სხვა თემებზედ. გავდივართ „პოლიტიკურ ანბანს", შაბათობა მოეწყო სულ 3. სამხედრო ვარჯიშობა ვერ არის სასურველად დაყენებული, წერა-კითხვის უცოდინარი არ არა გვყავს.

ხრესილის იაჩეიკიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. აფხაიძე: წევრები არის სულ 21. კრება იყო სულ 23; მოხსენებები კეთდებოდა სხვა და სხვა თემებზედ. გავდივართ „პოლიტიკურ ანბანს". ვარჯიშობა ამ უკანასკნელ ხანებში ეწყობა. შაბათობა მოხდა 1. წერა კითხვის უცოდინარნი არა გვყავს.

კურსების იაჩეიკიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ილ. ლომთაძე. წევრები არის სულ 10. კრება მოხდა სულ 26 აქედან საჯარო კრება 6. გავდივართ „პოლიტიკურ ანბანს". სამხ. ვარჯიშობა მოიკოჭლებს. შაბათობა მოეწყო 4.

მოხსენებები ადგილებიდან მიღებულ იქნა ცნობად.

მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ გააკეთა ამხანაგმა ალ. აფხაიძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო განათლების მდგომარეობას, სასურსათო გადასახადის მსვლელობას, კოოპერაციის მნიშვნელობას და ადმინისტრაციის მოქმედებას. მოხსენებას გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ალ. აფხაიძისა საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, ტყიბულის რაიონის პარტკონფერენციის დელეგატები, სავსებით ვიზიარებთ მთავრობის მიერ აღებულ გეზს საბჭოთა აღმშენებლობაში, გვწამს რომ მუშურ გლეხური მთავრობა არ გადასცდება იმ გზას, რომელსაც მივყევართ მშრომელთა სამეფოს დამყარებისაკენ. მშრომელთა ხალხის გათვითცნობიერება, ნორჩ სოც. საბჭოთა რესპუბლიკის გამაგრება ახალი ეკ. პოლიტიკით; ფართო მომხსენებელ მასის განთავისუფლება სპეკულიანტების ბრჭყალებისაგან, კოოპერაციის საშვალებით, და საბჭოთა მთავრობის დეკრეტების ცხოვრებაში გატარება ხალხის ნდობით აღჭურვილი ადმინისტრაციის მიერ. უმთავრესი საფუძვლებია, რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი მშრომელთა სამეფო. ჩვენ კონფერენციის დელეგატები მზათა ვართ ამ გზით ვიაროთ ყოველივე დაბრკოლებათა მიუხედავათ".

არჩევა სარაიონო კომიტეტისა. არჩეულ იქნენ ერთხმად შემდეგი ამხანაგები: პ. ტყაბლაძე, ი. ახობაძე, ნ. ზაგდანაშვილი, რ. ცირეკიძე და ალ. აფხაიძე.

კანდიდატებად: გალ. ქასრაშვილი და ალ. ქასრაშვილი.

სამაზრო პარტკონფერენციის დელეგატებად ერთხმად არჩეული იქნენ პ. ტყაბლაძე, ი. ახობაძე, ალ. აფხაიძე და ალ. ასათიანი.

კონფერენცია დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით საღ. 7 საათზედ.

**კონფერენციის პრეზიდიუმი.**

---

*) ტყიბულის პარტკომის მუშაობის ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ.

# პროვინციაში

## ს. ზედა-ხუნწი

(სენაკის მაზრა).

ა | წ. 3 სექტემბერს ს. ზედა ხუნწის (ხუნწის თემი). საბჭოთა ხიობაში გაიმართა ადგილობრივი სცენის მოყვარეების მიერ უფასო წარმოდგენა შემდეგი პროგრამით: მოხსენება ამხ. ლავრენტი ძიძიგურისა „ახალგაზრდათა წითელი და ყვითელი ინტერნაციონალს შესახებ". წარმოდგენილი იქნა „ორი სურათი ყაჩაღთა ცხოვრებიდან", ანუ „კაკო ყაჩაღი", „უმარილის ზრალია" (კომედია სამ მოქმედებად).

საღამო ჟამს მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი სკოლის წინ. წარმოდგენა დაიწყო საღამოს სრული 9 საათ. პირველად სიტყვა წარმოსთქვა ხუნწის თემის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. თეიმურაზ ხარებავამ 3 სექტემბრის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ.

შემდეგ ამხ. ლ. ძიძიგურის მიერ გაკეთებული იქნა მოხსენება ახ თა წითელი და ყვითელი ინტერნაციონალს შესახებ, რასაც დამსწრენი დიდის ყურადღებით უსმენდნენ. მოხსენების დასრულებისას მოსიმღერეთა გუნდი ასრულებს „ინტერნაციონალს" შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. ბოლოს იმართება სიმღერა, ცეკვა, თამაში და სხვა. ღამის სამ საათზე ხალხი დაიშალა დიდათ კმაყოფილი.

სასურველია ასეთი უფასო წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს სოფლად.

**ლ. ძიძიგური.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დებულება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**საქართველოს სახელმწიფო ნავოსნობის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სახელმწიფო ნავოსნობის შესახებ.

### 1. ზოგადი დებულებანი:

1. საზღვაო ნავოსნობის განვითარებისა და საქართველოს პორტების სახელმწიფო საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციისათვის არსდება **„საქართველოს სახელმწიფო ნავოსნობა"**, რომლის გამგეობაც იმყოფება ქალაქ თბილისში.

2. სახელმწიფო ნავოსნობა იმყოფება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობაში და მოქმედობს ამა დებულების საფუძველზე, ხოლო ამასთანავე იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს და თავის ოპერაციებს აწარმოებს კომერციულ ნიადაგზე.

3. არც ერთ საოლქო და ადგილობრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას და პირს უფლება არა აქვს ჩაერიოს სახელმწიფო ნავოსნობის სატეხნიკოსამეურნეო და ადმინისტრატიულ მოქმედებაში, დაიჭიროს მის გამგებლობაში ქონებული სადგომები და რეკვიზიცია ან კონფისკაცია გაუკეთოს მის კუთვნილ ქონებას.

### 2. სახელმწიფო ნავოსნობის მართვა-გამგეობა.

4. სახელმწიფო ნავოსნობის მართვა გამგეობა ევალება გამგეობას.

5. გამგეობა შესდგება ოთხი პირისაგან: თავმჯდომარისა და სამის წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს და დაითხოვს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო. გამგეობის ერთ-ერთი წევრთაგანი იმავე დროს მოადგილეა თავმჯდომარისა, ხოლო მეორე—გამგე-დირექტორი, რომელსაც ადგილსამყოფელი ქალ. ბათომში აქვს.

**შენიშვნა 1:** გამგეობის წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს წარდგენით.

**შენიშვნა 2:** გამგეობის თავმჯდომარისა და წევრთა გასამრჯელოს დააწესებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო.

6. გამგე-დირექტორს გამგეობა აირჩევს თავის წრეშივე და ამა მოვალეობისაგან იგი განთავისუფლდება გამგეობისავე დადგენილებით.

7. რათა გამგეობის გადაწყვეტილება კანონიერი იყოს, საჭიროა დასწრება არა ნაკლებ სამის წევრისა, მათ რიცხვში თავმჯდომარისა ან მისი მოადგილისა. გამგეობის სხდომისათვის შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ყველა, სხდომაზე დამსწრე პირი.—საქმეს გამგეობა გადასწყვეტს უბრალო ხმის უმრავლესობით; უკეთუ ხმები თანასწორად გაიყო,—თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. გამგეობის იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება გამგეობის დადგენილებას,—შეუძლიან მოითხოვოს,—რომ მისი აზრი შეტანილ იქნეს ოქმში,—ხოლო ასეთი აზრის განცხადება ვერ შეაჩერებს დადგენილების აღსრულებაში მოყვანას.

8. გამგეობა ხელმძღვანელობას უწევს ნავოსნობის ყოველ საქმეს და პასუხისმგებელია საქმის სათანადოდ წარმართვისათვის. კერძოდ მის მოვალეობას შეადგენს:

ა. მოქმედების გეგმისა, აღრიცხვის პროექტისა, ანგარიშისა და ნავოსნობის ბალანსის შედგენა.

ბ. ანგარიშ წარმოებისა, სალაროსი და საქმის წარმოების ორგანიზაცია.

გ. ნავოსნობის მთელი ქონების მოვლა პატრონობა.

დ. იჯარით დაქირავება და გაცემა ქონებისა მომქმედი კანონების თანახმად

ე. კონტორებისა და სააგენტოების გახსნა და დახურვა.

ვ. ახალი გზების გახსნა და მოქმედი გზების გაუქმება.

ზ. მომქმედი გზებისათვის რეისების განაწილება და შეცვლა.

თ. ტარიფების შედგენა და შეცვლა.

ი. ნავოსნობის ნავჭურჭლებზე მომარაგებისა და მასალებისა და სათბობის ხარჯის ნორმების დაწესება.

კ. ნაღდათ, კრედიტად და ყოველგვარი საქონლის გაცვლის საშუალებით მომარაგებისა, მოწყობისა და სხვ. საგნების შეძენა.

ლ. საკუთარი აპარატით ან სხვა დაწესებულებებთან და მათ გაერთიანებულ ორგანიზაციასთან ერთად, ან და კოოპერაციისა და კერძო პირთა მეშვეობით, ნავოსნობისათვის საჭირო პროდუქტებისა და მასალის დამზადება.

მ. ხელის შემწყო საწარმოო დაწესებულებათა ორგანიზაცია.

ნ. ნავოსნობის საქმეებისათვის ყოველგვარი კანონით ნებადართული საკრედიტო ოპერაციების წარმოება სახელმწიფო ბანკში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში.

ო ნავოსნობის მიერ ხელშეკრულებათა დადება პირდაპირი კავშირის დასაჭერად სხვა სანაოსნო დაწესებულებასთან და რკინის გზასთან.

პ. რწმუნებულობის ქაღალდის მიცემა ნავოსნობის სამსახურში დანიშნულ და გამგეობის მიერ მინდობილობით აღჭურვილ პირთათვის ხელშეკრულობისა და პირობის დასადებად და აქტების შესადგენად.

ჟ. კანონით ნებადართული ყოველგვარი იურიდიული აქტისა და გარიგების დადება,—სასამართლოში სარჩელის აღძვრისა და პასუხის გაცემის უფლებითურთ.

რ. სანაპირო დაწესებულებათა და ნავჭურჭელთა შტატების დაწესება, პირადი შედგენილობის მიღებისა და დათხოვნის წესის დამყარება, კოლექტიური და ინდივიდუალური ხელშეკრულობის დადება, შრომის პირობებისა, სასყიდლისა და პრემიის ნორმის დაწესება არსებული კანონდებულების მიხედვით და საწარმოო და სხვა დაწესებულებათა შინაგანი გამგებლობის წესის განსაზღვრა.

ს. ზედამხედველობა ნავოსნობის ორგანოებისა და ნავჭურჭელთა მოქმედებისათვის.

ტ. შედგენა ინსტრუქციისა გამგე-დირექტორისათვის და ამა დებულების 19 22 მუხ. აღნიშნულ წესებისა.

უ. სხვა ოპერაციების წარმოება, რაც ამა დებულებას არ ეწინააღმდეგება.

**შენიშვნა:** გამგეობის დადგენილებანი ა, ე, ვ, ზ, თ, ო, რ და უ პუნქტებში აღნიშნულ საგნების გამო დამტკიცებულ უნდა იქნეს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ.

9. გამგე დირექტორს დაეკისრება—უახლოესი გამგებლობა ნავოსნობის საქმეთა და გამგეობის დადგენილებათა აღსრულება, აგრეთვე როგორც ნავოსნობის სანაპირო დაწესებულებათა, ისე ნავჭურჭელთა პირადი შედგენილობის გამგებლობა. გამგე-დირექტორი მოქმედებს გამგეობის სახელით თვინიერ განსაკუთრებული რწმუნების წერილისა. გამგე-დირექტორის უფლება მოვალეობათა ფარგალი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც გამგეობა შეადგენს.

10. ურთიერთი დამოკიდებულება ნავოსნობის საადმინისტრაციო სამეურნეო ორგანოებისა და პროფესიონალური კავშირების ორგანოების შორის დამყარებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო საწარმოო დაწესებულებათათვის დადგენილ პრინციპებზე.

ნავოსნობის საადმინისტრაციო-სამეურნეო ორგანოებს ეძლევა ხელისუფლების სრული მთლიანობა მათთვის ჩაბარებული საწარმოო და სხვა დაწესებულებათა, ნავჭურჭელთა და სხვ. გამგეობისათვის. მათვე დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა საქმის სათანადოდ წარმართვისათვის და ვინიცობაა საწარმოო დაწესებულებათა მუშაობა მარჯვედ ვერ წავიდა, ამ შემთხვევაში პროფესიონალური კავშირების ორგანოების ვითომდა მათ მოქმედებაში ჩარევის მომიზეზება არავითარ გამართლებად მათ არ ჩაეთვლებათ.—პროფესიონალური კავშირების ყოველგვარი უშუალო ჩარევა ნავოსნობის გამგებლობის საქმეში შეუწყნარებელია.

11. სახელმწიფო ნავოსნობას აქვს საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახის ბეჭედი.

### III. სახელმწიფო ნავოსნობის უფლება მოვალეობანი.

12. სახელმწიფო ნავოსნობის მიზანს შეადგენს—საზღვაო-სანავოსნო მიმოსვლის წარმოება მისი მოქმედების რაიონში, საქართველოს პორტების შორის, ბათუმიდან გაგრამდე და აგრეთვე შავი და აზოვის ზღვების პორტებ შორის.

13. საზღვაო გადაზიდვა სწარმოებს დაწესებული ტარიფით და თანახმად წესებისა, რომელიც გამოცემული იქნება ამა დებულების მიხედვით, გარდა დიდი პარტიობით გადაზიდვისა, რომლის წარმოება შეიძლება განსაკუთრებული შეთანხმების წესისამებრ.

14. სახელმწიფო ნავოსნობისათვის სავალდებულოა,—ხელშეკრულობებით დადგენილ ვადაზე და პირობების თანახმად,—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო საგადასაზიდო გეგმის აღსრულება.

15. საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ნება ეძლევა დააწესოს სავალდებულო სანავოსნო გზები. უკეთუ ასეთი გზების მოწყობა გამოიწვევს ნავოსნობის ოპერაციების ზარალს—ნავოსნობას ამა ზარალის დასაფარავად, სახელმწიფო საშუალებიდან დაენიშნება სუბსიდია.

სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნავოსნობა თავისუფალია გადასაზიდის მიღებაში, ხოლო მისთვის სავალდებულოა,—უკეთუ სხვა დანარჩენი პირობები თანასწორი იქნება,—უპირატესად დააკმაყოფილოს პირველ რიგში სახელმწიფო ორგანოები და სახელმწიფო გაერთიანებული ორგანიზაციები (საწარმოო დაწესებულებანი), ხოლო შემდეგ—ცენტრალური და საოლქო საკოოპერაციო გაერთიანებული დაწესებულებანი.

16. სახელმწიფო ნავოსნობას ეკუთვნის განსაკუთრებული (მონოპოლიური) სხვა ნავოსნობის წინაშე, უფლება ტვირთის საკაბოტაჟო გადაზიდვისა ბათუმ-გაგრის სანაპირო რაიონში.

17. სახელმწიფო ნავოსნობას უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა სხვა სახელმწიფო და საკოოპერაციო გაერთიანებულ ორგანიზაციებში, ამხანაგობაში და სხვა ამისთ.,—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო და სავაჭრო გაერთიანებულ ორგანიზაციებისათვის დადგენილ საფუძველზე.

18 სახელმწიფო ნავოსნობას უფლება ეძლევა შეიძინოს, მოაწყოს და იჯარით აიღოს საწყობები და სხვა შენობანი, დოკები, ელინგები, ნავსაშენი, გემები და ყოველგვარი ნავთსადგური, მექანიკური ხელსაწყო საქონლის დატვირთვისა და განტვირთვისათვის, მექანიკური ქარხნები და სხვა საჭირო ქონება. აგრეთვე ნავოსნობას უფლება ეძლევა შეიძინოს საკუთრებად გემები და სხვა საცურავი საშუალებანი, ან იჯარით აიღოს, ან და საკომისიო პირობით.

19. სახელმწიფო ნავოსნობის პასუხისმგებლობა გადასაზიდად მიღებული ტვირთის დაკარგვისა ან გაფუჭებისათვის ან და ამ ტვირთის ვადაზე მიუტანლობისათვის—განისაზღვრება მომქმედი კანონების საფუძველზე და ნავოსნობისა და ტვირთის გამგზავნის შორის დადებული შეთანხმებისამებრ, რაც აღნიშნული იქნება კონოსამენტში და საფრახტო კვიტანციაში.

ამა პასუხისმგებლობის საერთო პირობები, აგრეთვე წესი და პირობები მგზავრებისა და ბარგის გადაზიდვისა, ტვირთის მიღებისა, შენახვისა, გადაზიდვისა და ჩაბარებისა—დადგენილ უნდა იქნეს ნავოსნობის გამგეობის მიერ და დამტკიცებულ—საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოსაგან.

20. სახელმწიფო ნავოსნობას უფლება ეძლევა,—ტვირთის გამგზავნის დავალებით, შეასრულოს ყოველგვარი საკომისიო და საექსპედიციო ოპერაცია, აგრეთვე საბაჟო და სხვა წესები. ამგვარი ოპერაციების წარმოების წესსა და გასამრჯელოს ნორმებს დაადგენს ნავოსნობის გამგეობა და დაამტკიცებს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო.

21. სახელმწიფო ნავოსნობას უფლება აქვს,—სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით,—გასცეს ხოლმე, მისი საშუალებით გადასაზიდი დაზღვეული და არა ადვილად—გასაფუჭებელი ტვირთის გარანტიით, მოკლე ვადიანი სესხი ტვირთის გზაში ან საწყობში ყოფნის დროს განმავლობაში რიგი და პირობები სესხის გაცემისა და დაბრუნებისა განისაზღვრება განსაკუთრებული წესით, რომელსაც დაადგენს გამგეობა და დაამტკიცებს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო.

22 სახელმწიფო ნავოსნობას ნება ეძლევა აწარმოოს დაზღვევა დამზღვევ დაწესებულებასა და საზოგადოებაში მისი ნავჭურჭლით გადასაზიდ ტვირთისა და საქონლისა, ტვირთის პატრონის ხარჯ ა და განცხადებით.

23 ნავოსნობის თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედების უფლება, როგორც სხვა და სხვა საგნის დამზადებისა, ისე სხვა ოპერაციების წარმოებისათვის,—ვრცელდება აგრეთვე მის ოპერაციებზედაც საგარეო ბაზარზე, ხოლო დაცულ უნდა იქნეს საგარეო ვაჭრობის წარმოების წესი.

### 4 საქართველოს სახელმწიფო ნავოსნობის ქონება.

24. სახელმწიფო ნავოსნობას, დაარსებისთანავე, ეძლევა:

ა. ძირითადი თანხის სახით— ნავჭურჭელნი, საცურავი საშუალებანი, ხელის შემწყო საწარმოო დაწესებულებანი, როგორიცაა: დოკები, სახელოსნოები, პაკჰაუზები, საწყობები, ელევატორები და სხვა უძრავი ქონება, რაც პორტების ტერიტორიაზეა და წინად შეადგენდა სანავოსნო და სანავოსნო-სატრანსპორტო დაწესებულებათა საკუთრებას, და რაც საჭირო იქნება ნავოსნობის ოპერაციებისათვის.

ბ. სატრიალებელი თანხის სახით: 1) ფულადი საშუალება სააგენტოებისა, სანავოსნო კომანდებისა და საცურავ საშუალებათა შესანახად,—საალრიცხვო დანიშნულებათა მიხედვით, პორტების მიმდინარე წლის შემოსავლიდან. 2) ყველა საჭირო მასალა, რომელიც პორტებში არის და 3) ნავოსნობის ის შემოსავალი, რაც საჭირო იქნება, რათა 1 ლ პუნქტში აღნიშნულ სატრიალებელ თანხის ფულადმა საშუალებამ მიაღწიოს ნავოსნობის ნახევარი წლის საჭიროებათა რაოდენობამდე.

25. ნავოსნობის მიერ მიღებული სატრიალებელი თანხის (მუხ. 24, პუნქ. ბიულეტ. 1 და 2) გასტუმრების წესსა და ვადებს დაადგენს საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველო.

26. როდესაც ნავოსნობას გადაეცემა (მუხ. 24, პ. ა) ისეთი ნავჭურჭელი, ან უძრავი ქონება, რომელიც რემონტშია ან რომლის შენება არ დამთავრებულა მის განკარგულებაშივე გადაეცემა აგრეთვე მიმდინარე წლის აღრიცხვის თანახმად გადადებული ფულადი საშუალებაც, რაიც საჭირო იქნება რემონტის ან შენების დასამთავრებლად.

27. ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ნავოსნობის მიერ ქონების მიღებისა, შედგენილ უნდა იქნეს მთელი ამ ქონების სია და შეფასება თანადროული საბაზრო ფასების მიხედვით და თანახმად არსებული წესებისა.

28. მიიღებს რა დაარსებისთანავე ამა დებულების 24 და 26 მუხლში აღნიშნულ თანხებს, ნაოსნობა შემდეგში არსებობს თავისი ხარჯით, რისთვისაც შეიძენს სატრიალებელ ფულად საშუალებას და გააფართოვებს ძირითად თანხას თავისი სატრანსპორტო ოპერაციებით მიღებულ შემოსავლიდან, აგრეთვე საკრედიტო ოპერაციებითა და საწარმოებების შემოსავლითა.

### V. მოგების განაწილება და ანგარიშები ნავოსნობის ოპერაციებისათვის.

29. ნავოსნობის გამგეობის წარდგენით და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით მოგება განაწილდება შემდეგნაირათ:

ა. წამახალისებელი დაჯილდოებისათვის ნავოსნობის პირადი შედგენილობისა.

ბ. სატრიალებელი თანხის გასტუმრებისათვის თანახმად 24 მუხლის ბ პუნქტისა და 26 მუხლისა.

გ. საწარმოო დაწესებულებათა გაუმჯობესებისა და წარმატებისათვის და ტონაჟის გადიდებისათვის.

ნავოსნობის ოპერაციების მოგების თავისუფალი ნაშთი გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში.

**შენიშვნა:** ნავოსნობის გამგეობას უფლება ეძლევა დააწესოს რეფაქციული და სატანტიემო ჯილდო საწარმოო დაწესებულების შემოსავლიდან.

30. მოქმედების გეგმა და საოპერაციო წლის აღრიცხვა ნავოსნობის გამგეობის მიერ წარედგინება საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს თვენახევრით ადრე საოპერაციო წლის დაწყებამდე.

31. ნავოსნობის გამგეობის მიერ თვითეული გასული წლისათვის შედგენილი დაწვრილებითი ანგარიში ნავოსნობის ოპერაციების შესახებ და აგრეთვე ბალანსები, არა უგვიანეს სამი თვისა საანგარიშო წლის გასვლის შემდეგ, წარედგინება საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს, რომელიც განხილვის შემდეგ, საკუთარი დასკვნით, არა უგვიანეს ერთი თვისა, წარუდგენს მათ დასამტკიცებლად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

**შენიშვნა 1:** ნავოსნობის გამგეობის მოქმედება ექვემდებარება მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატის ორგანოების რევიზიას საერთო წესით.

**შენიშვნა 2:** აღრიცხვისა და ანგარიშის ფორმას განსაზღვრავს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო.

### VI. ლიკვიდაციის შესახებ.

32. სახელმწიფო ნავოსნობის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ნავოსნობის გამგეობისა და საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს წარდგენისამებრ, ან საკუთარი მისი ინიციატივით. ამასთანავე, ლიკვიდაციის წესსა და დარჩენილ ქონების ბედ-იღბალს გადასწყვეტს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. სექტ. 20
თბილისი—სასახლე.

---

დანართი საქართველოს სახელმწიფო ნავოსნობის დებულებისა

## შედგენილობა

**საქართველოს სახელმწიფო ნავოსნობის გამგეობისა.**

**თვიური ჯამაგირი ოქროს მანეთობით.**

| | |
|---|---|
| 1. გამგეობის თავმჯდომარე | 120 მ. |
| 2. გამგეობის წევრი—იგივე გამგე დირექტორი | 150 " |
| 3. გამგეობის წევრი | 120 " |
| 4. გამგეობის წევრი | 120 " |

**თვიური ჯამაგირი კატეგორიებად. გამგეობის შტატი თბილისში.**

| | |
|---|---|
| 1. საქმეთა მმართველი | 15 |
| 2. ბუხჰალტერი | 14 |
| 3. საქმის მწარმოებელი | 9 |
| 4. მანქანით გადამწერი | 9 |
| 5. შიკრიკი | 4 |

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. სექტ. 20.
თბილისი—სასახლე.

**სარედაქციო კოლეგია.**

---

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხის გებაში. (0—29)

აღმასკომის გადასახადთა

ბიურო

აცხადებს,

რომ ოთხშაბათს, 27 სექტემბერს დღით 12 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სასტუმროებზე „პოლეროიალ", „ისლამია"-ზე და „სალმაზი".

კონდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საჯარო მაგიდის გამგე—დარახველიძესთან. (კრ. 348—4—3)

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადების ამკრეფი

ბიურო

აცხადებს

რომ ვერის ბორანზე 21 სექტემბრიდან გადაყვანის ქირა იქნება 2.000 მანეთი.

(კრ. 345—6—4) საჯარო მაგიდის გამგე დარახველიძე.

განცხადება

ცენტრალურ სამალარიო სადგურთან დაარსდა

მალარიანებისათვის ამბულატორია.

ავადმყოფების მიღება და მკურნალობა იქნება უფასოდ, დილის 9 საათიდან 12 საათამდის.

მისამართი: კამოს (ყოფილი დიდი მთავრის) ქუჩა 49.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი გრ. კუპაძე.

1—1. ცენტრალურ სამალარიო სადგურის დირექტორი ვირსალაძე.

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ სოფიო, იგივე სალომე, სარქისის ასული პარსეგოვისა დარჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის ვადაში.

1—1. ხელს აწერს სახალხო მოსამართლე.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების № 8 1921 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის მაგიდა აცხადებს, რომ მატრონა ალექსის ასულმა ლოგვინოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ლისენკოზე შეცვლის შესახებ.

1—1. მაგიდის გამგე ხიმშიოვი.

ტირაჟი 12 000 ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.